

ცისფერყანწელის მიმონერა ერთად პირველად ქვეყნდება. წიგნებში თავმოყრილია ცამეტი მწერლის პირადი წერილები ერთმანეთთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, სხვა ქართველ თუ უცხოელ მწერლებთან, ოფიციალური მიმართვები და განცხადებები. მიმონერის ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

წერილების უმეტესობა დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, დანარჩენი კი – საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, ქუთაისის ცენტრალურ არქივსა და ისტორიულ მუზეუმში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმსა და მწერალთა საოჯახო არქივებში.

პირველ წიგნში ქრონოლოგიურად წარმოდგენილია 1902–1931 წლების მიმონერა, მეორე წიგნში კი – 1932–1937 წლების წერილები.

მიმონერა

ცისფერყანწელა

II



ცისფერყანწელა

მიმონერა



წიგნი II

ISBN 978-9941-9595-0-9



9 789941 959509

ლიტერატურის
Literature Museum



მუზეუმი

ცისფერყანწილები მიმონება

წიგნი II

თბილისი, 2018

1932

ტიციან ტაბიძე – გიორგი ჩუღოვი

5 января 1932 г.

Тифлис.

Многоуважаемый Георгий Иванович!

Получил Ваше письмо из Батума вчера ночью. Я очень жалею, что Вы были в Тифлисе и я об этом не узнал. Недели две тому назад мне писал Борис Леон. Пастернак, что Вы будете в Тифлисе на несколько дней у Евг. Евг. Лансере и что Вы ко мне зайдете. Я очень Вас ждал и когда узнал, что Лансере на Украине, написал Пастернаку, чтобы Вы к нам заехали. Ужасно досадно, что в Тифлисе не встретились, я бы Вас избавил от лишних хлопот.

Теперь я Вас жду и все устрою, прошу заехать прямо к нам – Грибоедовская 18.

Я давнишний Ваш читатель и почитатель и сочту за честь, видеть Вас в Грузии и лично с Вами познакомиться.

Искренне Вас уважающий

Тициан Табидзе

Тифлис, Грибоедовская 18, Т. Т.

გიორგი ჩუღოვი – ტიციან ტაბიძეს

8 января 1932.

Зеленый Мыс.

Большое спасибо за Ваше милое и любезное письмо, дорогой товарищ.

Я попаду в Тифлис число 15–20 и непременно навещу Вас.

Еще раз прошу меня извинить, что мне пришлось побеспокоить Вас просьбой о совете, как найти кров в Тифлисе.
Странствовать по нашему Союзу не так просто.
Жму Вашу руку.

Георгий Чулков

ბენედიკტ ლივშიცი – ტიციან ტაბიძეს

Ленинград, 20. I. 32.

Дорогой Тициан,

расставаясь с Вами, я никак не предполагал, что мне придется напомнить Вам о моем существовании и об обещаниях, данных мне в Ленинграде.

Вероятно, у Вас есть достаточно веские причины хранить столь долгое молчание: ограничиваюсь, поэтому, лишь выражением моего недоумения.

Мы все очень помним и Вас и Паоло, который, кстати сказать, тоже обманул наши ожидания, не приехав сюда в декабре. Было бы жаль, если бы отношения, так хорошо – и, казалось, прочно – завязавшиеся между нами, пресеклись из-за расстояния: по моему, у Вас нет никаких оснований сомневаться в искренности чувств, которые Вы оба успели внушить нам всем в Ваш кратковременный приезд.

Итак – жду от Вас все разъясняющего письма.

Дружески жму Вам руку.

Привет Вашему чудесному городу!

Ваш Бенедикт Лившиц

სერგო კლდიაშვილი – სოფიო და მელიტა კლდიაშვილებს

Тифлис. Варцихская №16.

Софие Григорьевне Клдиашвили.

28 янв.

Моя Чупура и Мелитунчик!

Только проехал Минеральные воды. Вспомнил твои рассказы о твоих скитаниях здесь в 18 году... Из Баку я прислал вам письмо, да забыл марку наклеить. Здоровы вы? Не отказывайте себе, не экономте. Еду очень хорошо. Хоть бы вы были со мной! Этим летом сдохну, а прокачусь с вами на север. Голубки мои, все вы перед глазами. Ляпунчик, засохли твои ветрянки? Не простудись. Сопун, угли пока очень не прогорят, печку не закрывай – опасно. Возьми у Шалвы клеенку, выбери также шторы и пусть отложит. Целую много.

Ваш крошка

[მინერალური წყლები, 1932]

გეორგი ჩულკოვ – ტიცციან ტაბიძეს

30 января 1932.

Дорогой Тициан!

Я познакомился с Ниной Александровной. Она была так добра, что приехала к нам и я мог вручить ей новую редакцию стиховторении, Вам посвященного. В первоначальном тексте есть смешная и нелепая ошибка, которую я заметил, когда в вагоне вспомнил почему то текст стихов.

Последние строчки надо читать так:

Тамари дивный вижу замок

И Руставели страстный взор.

Обнимая Вас дружески. Поцелуйте Вашу очаровательную Нину.

Георгий Чулков

P. S. Будьте таким добрым, пришлите мне первоначальный текст: я его уничтожу, дабы моя совесть меня не мучила.
Мой привет Леонидзе.

[მოსკოვი]

სერგო კლდიაშვილი – სოფიო კლდიაშვილს

Тифлис, Семеновская 16.

Софие Григорьевне Клдиашвили.

5/II.

Сопунчик!

Я выеду 7 или 8-го. Эти два дня сижу у Кати. Они с такой любовью относятся ко мне, что больше нельзя. Она совершенно здорова, служит. Завтра берет меня к кустарникам купить для тебя кое-что – куплю, привезу. Я очень о вас беспокоюсь. Мне все кажется, что вам плохо. Скоро увижусь с вами. Целую много.

Сер.

Детка моя Мелитунчик! Купил тебе сегодня ботики. Если будут малы, мы их обменяем на что-нибудь. Еще что-либо привезу. Целую тебя много.

Твой папа

[მოსკოვი, 1932]

შალვა სოსლანი – ტიციან ტაბიძეს

17/II-32. მოსკოვი.

პატივცემულო ძმაო ტიციან!

ჩემი ნაგვიანევი პასუხი ორრიგათ მინდა გამოვისყიდო. იმედია, როგორც „დიდ მწერლობაში ფეხ-შედგმულ კაცს“ მიმიხ-

ვდები. უპირველესად ყოვლისა – მთელი ამ ხნის განმავლობაში ვასრულებდი ახალ წიგნს, რომლის გარშემო მასალებსა და განწყობილებებს მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვაგროვებდი. ამ წიგნის დასრულების მთავარი ავტორი შეიქნა ინჟინერი ავდეევი, რომელთან „საისტორიოდ“ – შევხვდით: ტიციან – შენ, პაოლო და მე (უთუოდ გეხსომება!). ჩემზედ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა ამ შეხვედრამ კიდევ უფრო დიდი – ალბომმა, რომელიც მან გადმომცა იმ ღამით, წასვლის წინ.

ამ შეხვედრაში, რასაკვირველია, მთავარი წილი პაოლოს მიუძღვის და მართალია, მას შემდეგ ეს „წყალთა და ნიაგ-ქართა ჯადოსანი“ არ მინახავს, მაგრამ მისი მუშაობის თემა ჩემი შემოქმედებით პრაქტიკად გადაიქცა. მოკლედ, ამ დღეებში, სწორედ, მე ეს წიგნი – სათაურით: „Встречное“ დავასრულე და ორ-სამ ლიტერატურულ ჯგუფში უკვე წავიკითხე. უფრო დალაგებით „აზრს“ შემდეგ მოგწერო. პაოლოსათვის ჯერ არ წამიკითხავს. საზოგადოთ პაოლო კარჩაკეტილი მუშაობს ამ უკანასკნელ ხანებში და ვფიქრობ, დიდათ ნაყოფიერადაც. განზრახული გვაქვს – წიგნი ავდეევის წრეში წავიკითხოთ. ამ დღეებში ჟურნალ „Мол. гвардия“-სი და РАПП-ის კრიტიკოსთა სექციის თანადასწრებით ვკითხულობ ამ ჟურნალის რედაქტორის კარავაევას ბინაზე...

ეს, მე თავი მოგაბეზრე სულ ჩემ ამბებზე თხრობით, თუმცა გამოტეხით უნდა გითხრა, რომ ამ წიგნზე არა ნაკლების სიხარულით ვმუშაობდი.

აქეთ ძალიან ამრეზილია საზოგადოება „РАПП“-ის ხელმძღვანელობაზე. ყ. შ. ყოველივეს მალე თავისი კალაპოტი მოენახება. ვინაიდან საქართველოს „რაპი“ პირნავარდნილათ იმეორებს აქაურ „РАПП“-ს, ამიტომ არა მგონია, რაიმე ახალი მათი ცხოვრების გარშემო გაიგო ჩემგან აქაურებზე. ახალი ისევ-და-ისევ „ურაპო“ წრეებში ხდება (მალე – უთუოდ, მეც ამეკრძალება ასე ურაპ-დალო წერილის წერა, ვინაიდან РАПП-ის ხელმძღვანელობა მეც РАПП-ში მეზიდება სამუშაოდ. უნდა მიცქირო მაშინ, როგორ „რაპუნს“ მოვრთავ!). ამჟამად, წინ „Конь и Кэтевани“-ს „гранки“ მიდევს საავტორო

კორექტურისათვის. მარტის პირველი რიცხვებისათვის უკვე გამოვა წიგნი. „კრიტიკოსნები“ დამარქაფებული ელიან საკბილოს. ერთი-კი მზად მაქვს მათთვის საპასუხოდ – что „пеший конному не товарищ“.

დაბოლოს, ტიცციან, ერთი რამ კიდევ უნდა გახარო: ეს ქალაქი, რომელზედაც ამ წერილს ვსწერ – ჩვენებური ვაზის წვენისაგან არის გაკეთებული (Бумага из отходов виноградской лозы). უთუოდ გეცოდინება ამ მეტამორფოზის ისტორია. სწორედ გუშინ ჩემთან იყო სოლ. ახვლედიანი და მთელი დასტა ახლად გამოშვებული ასეთი ქალაქისა დამიტოვა „ზეშთაგონებისათვის“...

ხომ კარგი ქალაქია, მართლაც? მეტად შესანიშნავი ამბავია ჩვენი ნუნუას მოყვარული მწერლებისათვის! ჩემთვის-კი, ამ ნუნუას მოკლებულისათვის: უფრო საგულისხმიეროც... გისურვებ გამარჯვებას.

ძმური სალამით შალვა სოსლანი

P. S. მოკითხვა ქ. ნინას. ხომ კარგათ იმგზავრა მოსკოვიდან? წასვლის წინა დღეებში ერთად ვიყავით ანტონოვსკაიას ქალთან. გითვლიან აქედან სალამს ყველანი.

შ. ს.

ალი არენიშვილი – იოსებ გრიშაშვილს*

29. II.

პატივც. სოსო

იმდენი შემთხვევით, რომ რამდენიმე დღით გამომიგზავნეთ არისტო ჭუმბურიძის „იდუმალი ძალა“. დაგიბრუნებთ სპეტაკად და წმინდათ. დამავალებთ.

პატივისც. ალი არსენიშვილი

[თბილისი, 1932]

* დაცულია იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი.

მიქელ პატარიძე – კოლაუ ნადირაძეს

ძმაო კოლაუ!

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მღელვარებით უკითხავს ლექსს პოეტი პოეტს, მით უმეტესად, პირველად და ისეთს, რომლის მსჯავრი შეიძლება წამკითხველისთვის დაფარული სინამდვილის გამომჟღავნება იქნეს. ეს ახლახან დაწერილი ფრაგმენტი, შინაგან სიმკვრივეს მოკლებული და დაულაგებელი არის იმ დაპირების არა შესაფერისი შესრულება, რომელიც შენი ლექსის წაკითხვის დროს ვსთქვი. ყოველ შემთხვევაში, მღვდელი ფარაჯაშიც იცნობის. მიიღე ეს კიდეც გაუბედავი ჩახველება გამოუცდელი მომღერლის, რომელსაც დიდ არტისტთან უხდება დუეტის შესრულება. ყოველ შემთხვევაში, დაწყება შენ გეკუთვნის და შენი უნდა იყოს, საერთო უღლის განწევა-კი ჩემი უდიდესი სიხარული და სურვილი.

მიქელ პატარიძე

1932 წლის ზამთარი

ტფილისი

პანტელეიმონ ჩხიკვაძე – ტიციან ტაბიძეს

23/IV.

სალამი ტიციან!

მე უკვე ქობულეთში ვარ. კარგად მოვეწყვე. ვისვენებ ენერგიულად. ამინდი ცვალებადია. მეტ წილად ცივა. ზღვა ბობოქრობს, მაგრამ გაზაფხულის ცინცხალი დღე მაინც იგრძნობა. ბათომში ჯერ არ ჩავსულვარ. მიმოსვლა აქ ნაკლებია საერთოდ. მოვიწყენდი, რომ არ ვმუშაობდე. მუშაობით ვერთობი კიდეც. უკვე ერთ ფორმანახევარი გავაკეთე. მიკვირს, სად არის ამდენი ენერგია. დალლას არ ვგრძნობ. ალბად კლიმატური პირობები მოქმედებენ.

რომ გამოივლიდეთ აქეთ, ნაწყენი არ დარჩებით. სხვა რა ამბავია ფედერაციაში? წრის მუშაობა გამოაცოცხლეთ როგორმე, თორემ დაგვცხებენ.

მომწერეთ, ახალი რა არის. იფიქრეთ საზაფხულო არდადეგებზე. წასვლისა და თანხების შესახებ იქნება დაყნოსოთ რაიმე. მოგელით ან თქვენ, ან წერილს მაინც. მოკრძალებით სალამი თქვენს მეუღლეს.

სალამი. იყავით კარგად.

ამხ-რი სალმით თქვენი: პ. ჩხიკვაძე

ქობულეთი, სანატორია

[1932]

ტიციან ტაბიძე – პანტელეიმონ ჩხიკვაძეს

29 აპრილი, 1932 წ.

ქ. ტფილისი.

ძვირფასო ამხანაგო პანტელეიმონ!

თქვენმა წერილმა ორნაირად გამახარა: ერთი, რომ კარგად ხართ, მუშაობთ კიდეც და მეორე, რომ ჩვენ გახსოვართ. მართალი გითხრათ, მეხარება თქვენი მდგომარეობა – რამდენი ხანია ვოცნებობ, ასე რამდენიმე თვით წავიდე დასასვენებლათ და სამუშაოთ. დასვენება თითქო არ მჭირია – მაგრამ მუშაობისთვის საჭიროა მარტოობა და განზე გადგომა – რაც მე რამდენიმე წელია ვერ მომიხერხებია – ობიექტიურ მიზეზების გარდა, პირადი დროს გამოუყენებლობა და სიზარმაცე უფრო უნდა იყოს ამის მიზეზი. აპრილში კი ქობულეთი ოცნებაა. შარშანწინ ვიყავი სწორედ ამ თვეში ბათომიდან გაგრამდე ავტომობილით და წარუხოცელი შთაბეჭდილება დამრჩა – აქედან დაიბადა ჩემი „ახალი კოლხიდა“, რომელიც, სამწუხაროთ, აქამდე მხოლოდ იმ დროს მოგონებით იწერება. ვიცი, რომ ეს ნამდვილი სუბტროპიკული სამოთხეა – ეს კია, რომ ადამიანს ძალიან აზანტებს და უფრო ოცნებაში გადაყავს. მაგრამ აქ მწერალს იხსნის მწერლობის იწერცია – თუ მიჩვეულია კაცი მუშაობას, ავადმყოფიც ვერ მოისვენებს. საერთოდ, ჩვენი ამბები გეცოდინება გაზეთებიდან. რაპის ლიკვიდაციის შე-

სახებ – ეს ამბავი მე ცოტა ადრე ვიცოდი – ჩემთვის მოსკოვის შემდეგ არაფერი იყო მოულოდნელი. აქ ჯერ არავინ იცის, როგორ გაიშლება ამბავი და რას ნიშნავს ყველაფერი ეს – ელიან მოსკოვიდან ახსნა-განმარტებას. მაგრამ რაც ყველაზე უფრო უეჭველია, ეს არის შემოქმედებაზე დაყრდნობა და ნამდვილი შეჯიბრების მოწყობა – Ставка на творчество. თუ კერძოთ ჩვენთვის ვიანგარიშებთ, დარწმუნებული ვარ, ნამდვილი მწერლები არ დარჩებიან ნაგებული: ეს უფრო ეხება „აპარატრიკებს“ და მწერლების ბებია-ქალებს (ეს არ გაიგოთ, როგორც კრიტიკის სანინაალმდეგო გამოსვლა საერთოდ). მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც მ. გორკიც სწერდა, ეს კრიტიკა ხალისს უკარგავს მწერლობას დახმარების მაგიერ და კერძობასაც არ არის მოკლებული. მე მგონია, თქვენ ამხანაგები შეგიყვანენ საქმის კურსში. ჯერჯერობით არავინ არაფერი იცის – ერთ თვეში კი ალბად გამოირკვევა, მანამდე ან პირადათ გნახავთ ქობულეთში, ან წერილს მოგწერთ, ანდა ტფილისში შეგხვდებით. მე ძალიან გამიკვირდა თქვენი გამოსვლა ჩვენ პროზის დისკუსიაზე – როცა მითხრეს, მე იქ არ ვიყავი – ალბად ავადმყოფმა გულმა არ დაგასვენათ. ასეა, როცა საქმე ეხება თვითონ მწერალს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოლოდინში ვართ – გვინდა, უეჭველათ მოინახოს ენა პროლეტარულ და საბჭოთა მწერლებს შორის და აქ არჩევა და გასაქანი ჰქონდეს ნამდვილ მწერლობას და არა შემთხვევით მეორე ხარისხოვან ხალხის შერჩევას, როგორც წინა ხელმძღვანელობა აკეთებდა და რაც მე არასდროს არ დამიმალავს. ქართული მწერლობა ისე დიდია თავის ტრადიციებით, რომ ჩვენმა თაობამ ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს, რომ ეპოქას არ ჩამორჩეს და მწერლობა მის სიმაღლემდე აიყვანოს.

საერთოდ, მუშაობა ფედერაციაში ჩვეულებრივი წესით მიდის, ეხლა ცოტა შეფერხდება, რადგან ხალხი გაურკვეველობაშია, მაგრამ ესეც გაივლის. მუშათა წრეების საკითხი ჩვენი მტკივნეული და ვიწრო ადგილია – მაგრამ უთქვენოთ ამის დაძვრა არც ისე ადვილია, თუმცა ჩვენ არ დავაკლებთ ცდას. კომუნალურ ბანკიდან მოგვცეს 2 ათასი მანეთი. სახელ-

მწიფო ბანკში ინახება და ვარლამს ნაკაზი მივეცი, უჩვენოთ არავის მისცეს – არც ისე შორს ვართ ერთმანეთისაგან, რომ ხმა ვერ მივანვდინოთ ერთმანეთს და თქვენც შეგეკითხებით – თუ პირადათ თქვენთვის საჭირო იქნება ფული, მოინერეთ და იმ წამსვე გამოვაგზავნიებ ვარლამს. ჯამაგირებითაც აპრილის 15-მდე ყველა დაკმაყოფილებულია – მეორე ნახევრისასაც დამპირდენ განათ. კომისარიატში. ისე, ტფილისშიც ძალიან სცივოდა და ხშირად წვიმდა – ისე კი, ყველაფერი აყვავებულია.

მინდა, ვისარგებლო ამ სამი დღით პირველ მაისისთვის და გავიდე ქალაქიდან – ლევანი ჩამოვიდა მოსკოვიდან და ეპირება წინანდალში წასვლას, თუ ეს მგზავრობა რაიმე მიზეზის გამო გადაიდო, მაშინ წამოვალ ბათომისკენ – მინდა, გადავხედო ჩვენ აყვავებულ შავი ზღვის სანაპიროებს და ქობულეთშიც ჩამოვალ.

ჩვენი ბიჭები, მგონია, ყველა ტერიტორიალურ ნაწილებში წავიდენ, ყველას სამხედრო ფორმა აცვია – მეც რომ მათსავით ახალგაზდა ვიყო, არ დავიყოვნებდი ფორმის გამოცვლას, მაგრამ ისეთი ცივი ზამთარი იყო, რომ ყველა სამუშაო გაზაფხულისთვის მქონდა გადადებული და ეხლა მაგრათ მომინდება დაჯდომა და წერა.

ასე იყავით კარგად და ჯამრთელათ, ჩემო პანტელეიმონ და წერილებიც ხშირად მოინერეთ – შემდეგი ჩემი წერილი უფრო საქმიანი იქნება. მოკითხვა და სალამი თქვენ მეუღლეს, თუ მანდ არ არის საერთოდ, ალბად ხშირად გნახულობთ.

სალამი ჩვენი ამხანაგებისგან, გელით კარგად დაბრუნებულს და ნაწერიტაც დამძიმებულს.

სიყვარულით და ამხ-ური სალამით

ტიციან ტაბიძე

ჩემი მისამართი: გრიბოედოვის ქ. №18. ტელეფონი: 15-66.

P. S. თუ მოხერხდა, ტელეფონით დაგელაპარაკებით, არის თუ სანატორიაში ტელეფონი – ფოსტის სადგური შორს არი ალბათ?

გიორგი ლეონიძე – პანტელეიმონ ჩხიკვაძეს

ძმაო პანტელეიმონ!

მოხარული ვარ, რომ კარგად ყოფილხარ და ისე ხალისიანად, რომ მუშაობ კიდეც. ალბად რამე წამუშავებულსაც ჩამოიტან.

ქობულეთის რბილი მზისა და გურიის მთების ნიავეზე ცხოველმყოფელი სხვა რაღა უნდა იყოს შენი ფილტვებისთვის? მე რომ შენ ალაგას ვიყო, ჯერ კიდეც არ დავიძვრებოდი მაინდამ...

მხოლოდ დღესა გწერ წერილს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი შალვა ბაქოში იყო მივლინებული ორი კვირით, უიმისოდ კი, ცარიელი უსაქმო წერილი, ცარიელი იმედებით არ მინდოდა მომენერა..

ჩამოსვლისთანავე ვეცი შენს საქმეზე და შემოძლიან გახარო, რომ საქმე კარგად არის და „სინათლემ დასჭარბა“. იყო პატარა უიმედობა და ახლა ისიც გაფანტულია. მხოლოდ საქმე იმაშია, თუ როდის გათავდება ბინის შინაგანი მონყობილობა. ძალიან დაფაცურებულნი არიან მასალაზე და ახლა ყველაფერი მასალაზე ჰკიდია, ამიტომ კონკრეტულ ვადას ახლა ვერ მოგწერ. ახლა მასალას უნდა მივანვეთ. დღეს ინჟინერთან ვიყავი და მითხრა, დიდი იმედი მაქვს, ერთ თვეში მოთავდესო... აბამელიც ასე უცდის... შალვამ შემოგიტვალა, ჩემ სიტყვას ვასრულებ და მზიანი ბინა არ აგცდებო. შენი ბედი იქნება, თუ ივნისისთვის (ბოლო რიცხვებში მაინც) მოასწრეს. ალბად კიდეც ჩავიქეიფებთ... ასე: – თუ ვინმე შევა ბინაში – პირველთაგანი შენც იქნები...

სხვა, აქეთ ახალი არაფერია. წვიმებმა გაანყალეს გული.. რიგიანად ჯერ არც კი დამთბარა. მუზეუმის საქმე შენს მოსვლამდე გადავდევ, ალბათ ასე უმჯობესი იქნება და წერილი ტიცციანთან არ გადამიცია...

შალვამ დიდი მოკითხვა შემოგიტვალა და ყოველივე სიკეთე გისურვა, რასაც მეზობელი გურული კაცი უსურვებს მეზობელს..

ამ წერილს ძალზე სიჩქარით გწერ. ამ მუზეუმის საქმეებმა და ცალკე ბესიკმა ტვინი გამომაცალა..

სხვებრ – იყავი კარგად და მალე გვენახო ჯანიერი და ენერ-
გიული. ალბად საცაა ჩამოხვალ კიდეც.

ამხანაგური საღამით გოგლა ლეონიძე

8 მაისი, 1932

[თბილისი]

პაოლო იაშვილი – ჯიბრაილ იაშვილს*

ჩემო ძვირფასო მამა!

გისურვებ კარგად და ჯანმრთელად ყოფნას. ტფილისში ძა-
ლიან კარგად დავისვენე და მიშასთან მშვენივრად ვგრძნობ
თავს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიცხეებია, მიშასთან
ძალიან კარგი ჰავა არის და სოფელივით ვნებივრობთ. კი-
დევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ საქართველოს გარეშე ჩემი
ცხოვრება მეტად საძნელოა. აქ კიდევ დავრჩები 8-10 დღე,
შემდეგ მივინდა წავიდე ორის კვირით წყალტუბოში, შემდეგ
კი კარგა ხნით წამოვალ სოფელში, რომელსაც ძალიან შევ-
ნატრი. კუკუნა მოდის დედასთან ერთად. ადევნეთ თვალ-
ყური, ბევრი ბურთის თამაში მას ავნებს. შეიძლება ბებოს
არ შეეპუოს, და შენ ეცადე შეაკავო. ძალიან გული დამ-
წყდა, როდესაც გავიგე რომ ჩვენი წყალსადენი ჯერაც არ
არის დასრულებული.

მე მინდოდა მკაცრი წერილის მოწერა ჩვენს თემსაბჭოს-
თვის, ჯერ ჯერობით გწერ მხოლოდ შენ და გთხოვ, გადას-
ცე თავჯდომარეს, რომ თუ ერთს თვეში არ დაასრულეს
მუშაობა, მე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიცილებ თა-
ვიდან. უნდა ახსოვდეს, რომ ბოროტებას სჩადიან და ამ-
დენი ხანი ოქროდ ღირებულ საქონელს ახდენენ, ალპობენ.
მართლა გული მომდის. ასეთ უპატივცემულობას არ ველო-
დი არგვეთლებისაგან. გთხოვ, მამა, ყოველივე ეს უთხარი
წყალის კომისიას.

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

მედეიას მალე გამოგიგზავნი. სალამი ტუპის, ივლიტეს, როსტომს, ვიქტორ მაჭავარიანს, ვანოს და სხვებს.

მე ძალიან კარგად ვარ.

შენი მარად მოყვარული შვილი

პაოლო იაშვილი

ტფილისი, 10. VI. 32

ბაბილინა მდივანი – პაოლო იაშვილს*

შენ შემოგვევლოს შენმა დედამ შვილო პავლუშა!

ათას გაკოცებ და ღმერთს ვსთხოვ შვილო ისე წაიყვანოს შენი საქმე, რავარც ვევედრებოდი. სხვა, დედა გენაცვალა, ვიცი, მიკითხავ, ვარ ისე, რავარც იცი ჩემი ამბავი, სულ მოუსვენარი, შენმა წასვლამ, დედა, მამკლა, ისე უეცრივ რომ წადი. არ მეგონა. ისე ახლა, ჩემო დედა, ამიტანე.

თუ გნამს ჩემი დედა-შვილობა, ნუ მამკლავ შენი ფიქრით, მოუარე თავს, იყავი მოსვენებული, შენი ჯანმრთელობისთვის იფიქრე, სხვას ნურას დეეძებ. ჩემო დედა, ვილაც ვილაცას კინკლაობას დაანებე თავი. არ ვარგა შვილო რისთვის უნდა გადაიმტერო ვინმე, რათ უნდა ქნა ეს. დაანებე თავი, რა შენი საქმეა, ჩემო დედა ყველას უნდა უყვარდე და იყვეს მეგობარი მისთანა დრო არის, თუ დედა ვარ შენი და ცოტა მაინც გაქ პატივისცემა, ასე ქენი შენ დაგენაცვლოს შენი დედა. სულ მაგის ფიქრში ვათენებ და ვალამებ. ვაითუ ახლა გაკეთება უნდა რამესი, ვაითუ შია, ნეტაი თუ მომესწრო, რომ ასე არ ვიყო და ყველაფერი შეექნეს ჩემ შვილებს, დედუკო, ახლა ვერაფერი ვერ მოვახერხებ. პური ვერ ვიშონე, ჩემო დედა, და ნუ გამინყრები. აგერ მოვა პური და მოდი, შვილო, და გაგატანთ ბევრს და კიდევ გამოგიგზავნით ხოლმე. ჭადებს, რაცხა, ყველს, დედალს გიგზავნი, არც კი ვიცი, მადა ხარ თუ არა ჩემო დედა. გელი მალე. პურის მკაზე მოდი, თუ გინდოდეს ხაჭაპურები.

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

დედუკი, ბიძაშვილები ნახე ხოლმე, კოლიასას მიდი და მიულოცე ვაჟი. გრიზა თურმე დიდებულ ქალს თხოულობს. შენ დაგენაცვლა შენი დედა, მიშამ და თათუშამ გაკოცეს. შენი დედა გენაცვალოს. ივლიტემ და თამარამ გაკოცეს.

[არგვეთი, ივნისი, 1932]

პაოლო იაშვილი – ბაბლინა მდივანს*

ჩემო საყვარელო და ძვირფასო დედუკო!

ჩვენ ყველანი კარგათ ჩამოვედით, მხოლოდ გული გვწყდება, რომ წამოვედით არგვეთიდან, სადაც ცხოვრებას არაფერი არ სჯობს ქვეყანაზე. ამაღამ მოდის პაშა და მისი მოსვლა ისევ გაგახარებს და დაგამშვიდებს. აგურის გამოგზავნა შევაჩერე, რადგან შემეშინდა, რომ მართლა გაგიჭირდებოდათ მისი სახლში გადაზიდვა. როგორი მოსავალი იყო ღვინის? ფელამუში გზაში დაგვეღვარა, თათუშას აღარაფერი არ რგებია, პაშას კი ცოტა ვარგეთ.

იყავი კარგათ, ჩემო საყვარელო დედუკო, გაუფრთხილდი თავს. ივლიტეს ბევრს ვაკოცებთ, ყველას მოვიკითხავთ, კუკუნას და როსტომს უთხარი, რომ ბავშვების ჯავრი ნუ ექნება, არაფერს გაუჭივრებთ.

წყაროს შესახებ ჯერ ვერაფერი გავანწყვე, რადგან ფ. მახარაძე მოსკოვშია, მალე ჩამოვა და ყველაფერს მოვაგვარებ. მრავალს დაგკოცნი, იყავი იმედიანად და კარგათ.

შენი მარად მოყვარული შვილი პაოლო

საყვარელო დედა! მედეია, სონია და მე მრავალს ვაკოცებთ. გვენატრება არგვეთში ყოფნა. ივლიტემ ეცადოს რომ ჩურჩხელები კარგათ გააკეთოს. იყავით კარგათ, ჩემო დედა. ვაკოცებ ივლიტეს და ევუკას.

თქვენი მოყვარული თამარა

[თბილისი, ივნისი, 1932]

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

ბორის პასტერნაკი – პაოლო იაშვილს

Милый мой, дорогой мой Паоло!

Проходят недели, слагаясь в месяцы, и если продолжать и дальше так, то Вы никогда не узнаете, что едва поселившись здесь на озере, я тотчас же стал писать Вам. Я начал Вам несколько писем, и последовательно их оставлял вследствие их размеров. Они выходили то исследованиями по истории Урала, то попытками рассказать Вам(!), что такое Грузия.

Замечательно, что едва тут водворившись, мы стали вторично переживать проведенное с Вами лето. В такой цельности и с такой преследующей силой это случилось с нами впервые. Проявилось это в первое же утро, что мы проснулись в нашей трехкомнатной даче с терассой, предоставленной нам уральским обкомом партии, и пошли на озеро, и увидели стоверстный лес на том берегу, сосны и березы на этом, слюдяную гладь воды, тучи, могилы разрушенного кладбища, северную, бедную, привычную гамму. Мы ничего не сравнивали. Мы не сравнивали природы, мы не сравнивали людей. Мы просто, точно сговорившись, в один голос назвали Коджоры и потом с возвращающимся постоянством стали вспоминать Тифлис, Окроханы, Кобулеты, Цагвери и Бакуриани, и все места и все положения. Сегодня Тезик вставал в воображеньи с Тамарой Александровной, завтра кто-нибудь другой. Я со страшной силой почувствовал радость за Вас, что Вы сейчас там, что это опять окружает Вас, и Вы всех увидите!

Потому что это не только юг и Кавказ, т. е. красота всегда бездонная и везде ошеломляющая; и это не только Тициан и Шаншиашвили, Надирадзе и Мицишвили, Гаприндаивили и Леонидзе, т. е. люди замечательные на любой почве и не нуждающиеся в сравненьи, чтобы догадаться об их несравнимости. А это нечто большее, и притом такое, что и на всем свете стало теперь редкостью. Потому что (оставляя в стороне ее сказочную самобытность) это и в более общих отношеньях страна, удивительным образом не испытывавшая перерыва в

своем существовании, страна еще и теперь оставшаяся на земле и не унесенная в сферу совершенной абстракции, страна неотсроченной краски и ежесуточной действительности, как бы велики ни были её нынешние лишения.

Именно в этом свете увидели мы сейчас Грузию и поразились пережитому с Вами, как немыслимости и легенде. Ах, ведь это я, неверное и предчувствовал, когда, путаясь и не находя выражений, говорил с М. С. Джавахишвили о Грузии, как о форме. Но надо было сперва попасть сюда, в этот организм без духовных отправлений, неведомо зачем желающий привить себе эти потребности механически, без представления о последних, чужими руками и за большую плату, чтобы все это понять: чтобы, в тоске по русской культуре, вспомнить с благодарностью Тифлис и затосковать, по нем именно этой тоскою. И мне теперь ясно. Этот город со всеми, кого я в нем видел, и со всем тем, за чем из него ездил и что в него привозил, будет для меня тем же, чем были Шопен, Скрябин, Марбург, Венеция и Рильке, — одной из глав „Охранной Грамоты“, длящейся для меня всю жизнь, одной из глав, как Вы знаете, — немногочисленных; одной из этих глав и, в выполнении, — ближайшей по счету. Я говорю „будет“, потому что я писатель, и все это надо превратить в дело и всему найти выражение; я говорю „будет“, потому что всем этим он уже для меня стал...

Оттого ведь и пишу я Вам письмо за письмом, и их последовательно уничтожаю. Уже это не предмет вольной переписки. Уже этот круг воспоминаний владеет мной: уже он пишет меня, как сказал бы Тициан. Уже он стал для меня самостоятельным, в готовом виде найденным переживанием, подобным цветущему растению, то есть способным питаться всем тем, что я переживаю и буду переживать после него; и пока его не сменит какой-нибудь новый центр, той же породы, т. е. в свою очередь равный Скрябину, Рильке, Венеции и Тифлису, все соки почвы, постепенно распростираемой течением времени, будут питать его. Пример на лицо. На Урал, как мне теперь уясняется, я приехал ради него, во имя Тифлиса. Но

обо всем этом трудно писать в письме даже если оно пятое по счету. И не в письме, разумеется, скажешь это все. Что бы я ни задумал теперь, мне Грузии не обойти в ближайшей работе. И все это (что именно, трудно предвидеть) будет сгруппировано вокруг Вашей удивительной родины, как рассказ о части моей жизни сосредоточен на Маяковском.

Надо ли после этого прибавлять, до чего трудно мне во всей человеческой живости реализовать эту мою, самообогащающуюся любовь к Вам и всему Вашему, распределив ее по рукам и направив по адресу, Вам и Тициану, Надирадзе и Гаприндашвили. Такая переписка должна была бы, потому что я чувствую и что не оставляет моего воображенья, стать моим новым призванием. И, уступая непосредственности, я не знал бы, где мне остановиться. Потому что, следуя сердцу, я должен был бы писать письма не только Тамаре Георгиевне и Нине Александровне, не только Ниточке и Медее, а и улицам, по которым они ходят, и платанам, которые на них бросают тень. Нет, нет, я должен был бы даже переписываться с огорченьями, которые Вы им доставляете.

Перецелуйте же их всех от всей моей души и всем местам передайте, что они самые лучшие и дорогие, какие могла произвести земля. И одному из этих мест скажите, что собираюсь засесть на днях за прозу о всякой всячине, северной и военно-гражданской, я несколько верю в исполнимость этого решения только потому, что об Урале буду писать мысленно из Окрохан, и что это в вещи найдет свое выражение.

Не случайно не сообщаю Вам нашего адреса. Мне очень хочется знать, как вы живёте и что делаете, Вы и ближайшие друзья. Но Вы не ответите и это Вас будет, чем дальше, тем больше мучить. Будьте же здоровы и счастливы в этом незнание того, куда нам писать. Осенью же, если Вас еще не будет в Москве, снова спишемся.

Удивительно, что в чувствах моих к прошлому лету есть одна сторона, которую всего легче понял бы человек тогда от-

существовавший. Это – Робакидзе. Однако несмотря на вечное мое неумение выразить одно существо чувствуемого, без осложняющих частных, быть может эта особенность дойдет и до Вас с Тицианом.

Крепко обнимаю Вас, а половина письма пишется и Зиною. Часто также Адик дает доказательства живости своей памяти именно на кавказском матерьяле. Каламис цвери, каламис цвери, говорю я ему, и он вдруг расцветает и говорит о ливне в Бакурианах.

До свиданья со всеми.

Б. П.

30. VII. 32

შალვა აფხაიძე – პანტელეიმონ ჩხიკვაძეს

სალამი პანტელეიმონ!

მოგვივიდა თქვენი ბარათი ფულის გადმოგზავნის აუცილებლობის შესახებ. ცხადია, რომ ასეთს მდგომარეობაში, რომც არ გერგებოდეთ, გამომცემლობა ვალდებულია, ყოველგვარი დახმარება გაგინიოთ. იაკინთე აქ არ არის ახლა. გამომცემლობა უკაპიკოთ არის. ქალაქის გამოსასყიდი ფულიც არ გვაქვს. ასეთ უნუგემო პირობებში, ვეცდები, ამ პირველ ხანს გადმოგიგზავნო ორასი მანეთი, შემდეგ კიდევ. მხოლოდ ვეჭვობ, რომ ფოსტამ დროზე მოგანოდოს. ხვალ-ზეგ აუცილებლად გადმოგზავნი ამ თანხას და შემდეგ ვეცდები, მოგაშველო დანარჩენი.

ახლა „ფედერაციაში“-ც ვმუშაობ, ეს საკითხი მეც მეხება და ამიტომ გწერ ამ ბარათს. იყავი კარგად და ჯანმრთელად.

პატ-ით შ. აფხაიძე

8/IX – 32 წ.

[თბილისი]

ტიციან ტაბიძე – ნიტა ტაბიძეს

ჩემო ძვირფასო ნიტალია – როგორ ხარ, გენაცვალე, უეჭველად წერილები მომწერე ტფილისში, დედას გაუგონე და მოუარე. პაპიროსს ნუ მონაწევინებ და შენც ზღვაში ნუ იცვლექებ. აქ გემში ერთ კაცს ზღვის ფეხის საათი ჰქონდა ძენკვიანი, ისეთი კარგი იყო, მაგრამ თურმე ჩვენში არ იყიდება, ვილაც უცხოელს უჩუქებია მისთვის. იმ კაცმა იქნებ ტფილისში კიდევ გვიმონოს ასეთი საათი – მაშინ უეჭველად გიყიდი. გაკოცებ ბევრს და ველი შენგან წერილებს.

შენი მამიკო ტიციან

[ბათუმი, 14 სექტემბერი, 1932]

ნატო ვაჩნაძე – სერგო კლდიაშვილს

Сергей Давидович, дорогой, как живем. Скучаю я здесь без Вас. Все мне кажется, что Вы появитесь откуда-нибудь с Марго или того хуже! Так и не повидали Вы нас. Когда я была в Тифлисе, я ждала Вас последний вечер, но вы задержались в театре, читали пьесу. Очень интересуюсь, как прошла пьеса, что получилось.

Если Вы еще не забыли Наталию Георгиевну, то напишите добровольно ссыльной. И очень тоскующей без всех своих близких. Привет Всем и Илюше.

Наташа Вачнадзе

16/X-32

დავით მესხი – ტიციან ტაბიძეს

20/X. 1932 წ., სოფ. რიონი.

ტიციან!

ერთი წელიწადი ინურება, რაც „ჩემი მოგონებანი“ გამოვგზავნე ტფილისში. შენც, პაოლომაც და უფრო კი სიმ. ხუნ-

დაძემ არა ერთ გზის მომმართეთ – დამენერა მოგონებანი...
დავწერე, მოვაცოდვილე და მზის სინათლეს ველარ ეღირსა
– ეს ამდენი ხანია. დავიჯერო, ისე დავძაბუნდი, რომ აღარ
ვვარგვარ სულ კალმის კაცად?!. წელთა სვლამ დამამყავა
ხნოვანებით, მარა გონება კიდევე შემრჩა და მწერლობაში
მოჩხიროკედლობა კიდევე არ მინდა დავტოვო, თუ...

სოსო გრიშაშვილსა აქვს ჩემი მოგონებანი, ნუ დაიზარებ –
მოგმართავ როგორც რედკოლეგიის წევრს „მნათობისას“ –
გადაიკითხე, გააცანი ამხანაგებსაც და გადაწყდეს ამ ჩემი ნა-
ცოდვილევის ილბალი...

მე უფლებას გაძლევთ – თუ რამე ცოდვა ნახოთ შიგ – გამო-
ტოვეთ, შეაპაჩინკეთ ჰანგზე და სულ ექსორიას ნუ უყოფთ...
რა ვიცი, იქნებ, დიდი რამ საგანძური ვერ იყოს, მაგრამ არც
სულ ჩია უნდა დარჩეს ეგ ჩემი მოგონებანი და დასტამბი-
სათვის უღირსიც... მე ასე ვფიქრობ და ახლა თქვენ უწყით.
„მადა ჭამაში იხსნება“, ძალიან სასტიკ დიეტაზე ვარ ამ ჟა-
მად, და ჩემს მოცოდვილებულს გამომზეურებულს რო დავი-
ნახავ, იქნება, ხალისი მობრუნდეს და კვლავაც მივანვდინო
რამ ჩვენს მწერლობას. გრიშაშვილსავე გამოვუგზავნე ჩემი
ლექსების კრებული. იქნებ, მასაც გადაავლოთ თვალი – სად-
მე შეაკვეხოთ ზოგიერთები, თუ სულ ახალ „სალიტერატურო
გაზეთში“ ან ჟურნალში.

აბა, შენ იცი, თუ სულ დაჩაგრულს არ დამაგდებთ...

შენი დათ. მესხი

ჩემი მისამართი: ქუთაისი, სოფ. რიონი, ფოსტის ყუთი №11

პაოლო იაშვილი – კოლაუ ნადირაძეს

(პოემიდან „მიმართვა მეგობრებს“)

როგორც ზეციიდან მტრედების ჯოგი
მინაზე ჰფანტავს უნაზეს ჩეროს,
როგორც ურმული გადადის ბოგირს
და ოდნავ არხევს ნაძვების წვეროს,

როგორც დასტოვებს ალაზნის ლოგინს
და ცაში კენესით შესცურავს წერო,
ასეთი მინდა წერილი ზოგი
როგორც პასუხი, ძმაო, მოგწერო.
მაგრამ სიჭრელე და გაორება
ამ ჩრდილოეთში ზომა მეტია,
მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა,
გულში ვატარებ ნისკარტს წვეტიანს,
სიცივე ჩადგა ყინვის ტბორებად
ოთახის კარი ჩამაკეტია,
სურდო, ხველება, ხშირი ზმორება
მოახლეებად გადამწყვეტია!
ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს
ახლა ჯერშია მისი „ციგნები“,
მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს:
„მარტო ხარ, მარტო, მარტოც იქნები“.
ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას
და ვერ მშველიან მათი წიგნებიც,
ვნვები... თავამდე ვიხურავ საბანს,
მესმის „მარტო ხარ, მარტოც იქნები“!
და ასე ღამეს მოჰყვება ღამე
და მოდის დილა საღამოს მზგავსი,
ძმაო, მომწერე ისეთი რამე,
ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი,
ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენ,
ჯერ თუ მთელია საჩემო თასი,
თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენს ცამეტს
და პოეტების დაინგრა დასი.
თუ ცოცხალია შაშვების დასტა
და დარჩა ბაღში მათი საკვები,
თუ ჩემს მედეას დაეტყო გაზდა
და ისევ არი ჩემი საქები,
თუ შენ და ნინა ხშირად ხართ მასთან
არ ივინყებენ ამხანაგები,
თუ ზაფხულამდე უჩემოდ გასტანს
ისევ ვუყვარვარ თუ ვეძაგები.

ძმაო კოლაუ! ეს არი დაუმთავრებელი პასუხი შენი ლექსის ჩემდამი. ეს ორი კვირა სრულებით გაოგნებული ვიყავი, ერთი პნკარი არ დამინერია არა თუ ლექსი, წერილიც. ნურავინ იფიქრებთ, რომ ეს დავინწყების ან სიცივის ნიშანია. ბევრს მოგწერო, მაგრამ უეჭველად იქნება ასეთი ინტერვალები, არ ვიცი, რა არის მიზეზი. მაგრამ ასე ხდება და მოხდება კიდევ. კარგი იქნება, თუ ამ ლექსს დაიზეპირებ და ისე წაუკითხავ ჩვენებს, უთუოდ სუფრაზე, მედეას ავადმყოფობამ სრულებით გამანადგურა და ერთი ხანი კატალეპსიის მდგომარეობაში ვიყავი. ძალიან მინდა მისი ნახვა, ნუთუ ვერ შესძელით ისეთი კომბინაცია, რომ არ გართულდეს მისი წამოყვანა. მე მაინც მაქვს იმედი, რომ შენ ჩამოხვალ. კარგი იქნება, რომ შენ წამოგყოლოდა სონია. მე წინააღმდეგი ვარ თამარის ჩამოსვლის, ეს გასაგებია და მიკვირს, როგორ გაიფიქრა მან ასეთი აზრი. ნუ იზარმაცებ, მომწერე, ველი უთუოდ შენს ლექსს „შემოდგომის მოსვლა“. მომწერე, როგორ მოგწონს ეს ლექსი. მეორე ნახევარში ცრემლის მაგიერ ქარიშხალი იქნება. ტიცინანს ვუგზავნი ერთს ნაწყვეტს პოემიდან. ჩვენი ჯგუფის გარდა ნურსად გაიტანთ ამ ლექსებს. ბევრს გააკოცებ. მოკითხვა წინას და წელის.

შენი მარად პაოლო იაშვილი

9.11.32

[მოსკოვი]

1933

ნიკოლო მინიშვილი – შალვა სოსლანს

ტფილისი, 1933 წ., 4 იანვარი.

ძმაო შალვა!

შენი ორი წერილი მივიღე ჩვენი პლენუმის პერიოდში. პლენუმის სამზადისმა და მისმა დასასრულმა ხელი შემიშალეს შენთვის მეპასუხა, მაგრამ შენმა კატეგორიულმა ტონმა ბოროზდინის შესახებ მაიძულა, მიმებეჭდა მისთვის პატარა წერილი, რომელსაც ვფიქრობ, – გაჩვენებდა.

მე ძალიან მაღლობელი ვარ შენი, რომ ჩემი მრავალტანჯული წიგნისადმი მზრუნველობის პათოსი აქამდე არ შემოგლევიან. ეს კიდევ უფრო ართულებს ჩვენს ურთიერთობას და მავალდებულებს ფრიად. თუმცა, ეჭვი არ მეპარება „ჩოთქში“ გამოვსწორდებით: არც მე ვინყებ ეხლა მწერლობას. არც მე ვათავებ. მაგრამ ვინაიდან ტფილისი მოსკოვიდან უფრო ახლოა, ვიდრე მოსკოვი ტფილისიდან – შეიძლება, ვალი ჩემზე დარჩეს და ამ პატარა უხერხულობას შენც უნდა შეურიგდე. მინდა, მეორე პლენუმზე მაინც ჩამოვიდე. გნახავ და რამეებსაც დავაკეთებთ.

პირველზე არ წამოვედი, რადგან ქართველების ხმას, როგორც ირკვეოდა, არ ექნებოდა ის ფიონი და რეზონანსი, რაც მე მინდოდა (უნდა წამოსულიყო 7 კაცი მაგათი მოთხოვნით და ამგენმა ეს პატივი ვერ შეიშვნეს). ამიტომ არ წამოვედი და საექსკურსიო პირობებში არც ეხლა წამოვალ. ვიბრძვი, რომ შეიცვალოს და შეთბეს პირობები, თუ არა და – კიდევ ვიბრძოლებ. რა გაენყობა. პლენუმზე მათრიეს და მაუთოვეს ექვსი დღე დილით და საღამოთი. გაზეთს ნაიკითხავდი (ჩემ წერილს, რომლის ირგვლივაც ატყდა დავიდარაბა). შედეგ ნომერში აძლევენ ყრილობის შედეგებს და ჩემს კრიტიკას.

ბევრი არაფერი იქნება, მაგრამ ცოტათი ატმოსფერა მგონი შეირყა. რაკი იბრძვის დაკარგულ სამოთხისთვის. ჯერჯერ

რობით არც სხვას უშვებენ და ვერც თვითონ შედიან. ჯერ-ჯერობით ესაა.

ცეკამ გაუკეთა რეკომენდაცია ჩემს წიგნს „ფედერაციისათვის“ (თუ ბოროზდინმა ჩემი წერილი განახა, იმას ვსწერ), როცა აქ იყო სელივანოვსკი.

მეეჭვება, რომ დამეჭიდონ, მაგრამ გავატანე, მაინც მივყვები რუსულ სინდისს კარამდე. თუმცა ამ შემთხვევაში არც სინდისია და არც კარი – ქეა ისე ღიათ ყველაფერი.

ამ ორ დღეში გამოვა „არსენა მარაბდელი“ – უეჭველად გამოგიგზავნი

„Речи Рек“ – ისე გაქრა, ვერ ვიშოვნე. ენახა ტიცციანს. ვერც მას ეშოვნა. თუ გამოუშვებ ჩემსკენ 1-2 ცალს, კაი იქნება.

„ქეთევანზე“ მოვილაპარაკოთ მოსკოვს (27/1).

იყავი კარგად – სპარსეთში გადახვეწილო.

შენი ნიკ. მინიშვილი

ანდრეი ბელი – პაოლო იაშვილს

Дорогой Паоло,

Я был бы счастлив увидеть Вас, но не надеюсь просто. Я привык к тому, что Вы меня не любите посещать, как например, в прошлом году. И 8-го и 9-го вечером мы с К. Н. дома; и Вы очень порадовали бы нас, если б зашли часов с 9-ти. Мой адрес: Москва 121. Плющиха, д. 51, кв. 1. Пишу план как найти: наш дом огромный, серый, на углу Плющихи и Долгого переулка. Остановка на Плющихе, перед домом; ход в дом через Долгий: проходите в ворота; и – сверт налево в черный подъезд (парадный с улицы заперт); Вы спускаетесь в полуподвал: дверь – одна.

Ждем. К. Н. шлет Вам серд. привет; и тоже ждет.

Остаюсь искренне любящий Б. Бугаев

Трамвай (№№17, 15)

Москва, 5 февраля, 33 г.

პაოლო იაშვილი – ანდრეი ბელის

Дорогой Борис Николаевич!

Около месяца я нахожусь в Москве, но 24 дня пролежал в постели из-за стрептококковой ангины в очень сложной форме. Ваш адрес не знают мои знакомые, и спасибо Г. Санникову, сегодня он мне сообщил. Когда разрешите к Вам? Одиннадцатого, конечно, буду на Вашем вечере. Можно ли раньше? Крепко Вас обнимаю, сердечный привет Клавдии Николаевне. Мой адрес: Неглинная 4. Гостиница „Европа“, ком. 3. телефон 106.90. доб. 3.

Ваш Паоло Яшвили

[მოსკოვი, თებერვლამდე, 1933]

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს*

ჩემო ძვირფასო, ჩემო სანატრელო მედიკო!

მადლობელი ვარ შენი, რომ ბევრ წერილებს მწერ. მე, მამიკო, ძალიან ავად ვიყავი, 24 დღე ვინექი ლოგინში, დიდი სიცხე მქონდა. საავადმყოფოშიდაც წამიყვანეს, და თუმცა ყველაზე კარგი საავადმყოფო იყო, მაგრამ მე გამოვიქეცი, რადგან კარგათ ვიყავი და ცუდათ შევიქენი. მე ძალიან ბევრი საქმეები მქონდა მოსკოვში, და მორჩენის შემდეგ დღე და ღამე მიხდება მუშაობა. შენი დიდი სურათი, ისეთი როგორიც ჩამოგიტანე მოსკოვიდან, ჩემს სანოლთან არის და ყოველ დღე მეც და ყველა ვხედავთ შენ სურათს. შენ ყველა გაქებს, ეტყობა ჭკვიანი ბავში არისო. ეს ხომ მართალია! შენ ხომ კარგად სწავლობ! ხომ ძალიან არ ცელქობ. შენ რაც მომწერე, ყველაფერს გიყიდი და გამოგიგზავნი. დედა ახლა სწავლობს, ბევრს მეცადინეობს და ეცადე მოეხმარო, ყველაფერი გაუგონო და შენის საქციელით ხელი არ შეუშალო. ბევრს გაკოცებ, ჩემო საყვარელო და კარგო მამიკო! მომიკითხე ყველა. ბავშებს აკოცე.

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

როდესაც დრო გექნეს და მამა გაგახსენდეს, წერილი მომწერე. ძალიან, ძალიან გამეხარდება.

შენი მამა პაოლო

12.2.33

[მოსკოვი]

ბაბილინა და პელაგია იაშვილები – პაოლო იაშვილს*

საყვარელო შვილო პავლო!

შენ გენაცვალა შენი დედა. შენი წერილი მომივიდა, მწერ, ოცდახუთი დღე ვინევით, რატომ შენი დედ-მამა არ ვიყავით ავანტყოფები, შენი სატკენი ჩვენ არ გვეტკინა, შვილო. სულ მეშინოდა, სულ ვფიქრობდი, რაღა ვქნა, ყელი რომ ეტკინოს ჩემს პავლოსთქო. შვილო, შენ დაგენაცვლა შენი დედა, სად ვიყავით, ჩვენ გვძინავდა, არაფერი არ გვეტკიოდა და შენ განუხებდა ყელის ტკივილი, წინეთ გავიგე, მაგრამ მე მეგონა, ხუთი ან ექვსი დღე იყავი, რამდენი ხანი წოლილხარ, ჩემო დედა. შენ დაგენაცვლოს შენი დედა. ახლა ის მანუხებს კიდე რომ მწერ, პავლო, დედუკი, მამაშენისთვის მე არ მიმიწერია, შენ თუ ყელი გტკიოდა, მიტომ რომ ვიცოდი ძალიან შეშინდებოდა, ალბათ ვინმესგან გაიგო, ოროლი წერილი მოდის კვირაში რანაირი წერილები, გადარევაზე არი, პავლოს ამბავს რატომ არ მატყობინებთო, ვერც იწერება, თუ ყელის ტკივილი ქონიაო, ალბათ არ უნდა რომ გამაგებინოს, გონია, თუ მე არ ვიცი, ძალიან ნუხს, დეპეშაც გამეეგზავნა. არ ვიცი, რატომ შეშინდა. ისე, მედეიას მოუვიდა გუშინ წერილი, ეხვეწება, შენი ბაბუ გენაცვალოსო, დეპეშით შემატყობინე ძალიან მალე პავლოს ანბავით, ძალიან ძარღვებ აშლილი ვარო. მე მწერს, არასდროს ასე არ ვყოფილვარო და უნდა ნევიდე, დედუკი, შენი წერილი უნდა მიუტანო, იქნება დამშვიდდეს. მაგრამ იმდე-

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

ნი ხნის შენი წოლა სულ გადარევს და რა ვქნა, ჩემო დედა, მინდოდა, შენ რომ აქ დაგხვთენოდი და მიმეტანა ამბავი, მაგრამ რომ დაგაგვიანდეს, შვილო, დავლა არ მოუვიდეს. ამიტომ უნდა წვედი. გთხოვ, ჩემო დედა, როგორც მოხვიდე, ისე შეგვატყობინე იმ დღესვე, მერე როცა წამოხვალ, ქუთაისში უნდა მოხვიდე და ნახო მამა, შენ გენაცვალე, ჩემო დედუკო, ვიცი, სანამ არ გნახავს, ვერ მოისვენებს. ახლა ჩემი ამბავი ხომ იცი, ჩემო დედა, რავა ვიქნები. მედიას დენაცვლოს ჩემი თავი ერთ მინუტში არ უნდა, რომ მომიშოროს, ბებო, არ გაგიშოფ, იმიტომ რომ ორჯელ მეტათ უნდა იყო ჩვენთან, აქ ორი შვილები გყავს, ამდენი შვილიშვილები ვართ და აქ დიდხანი უნდა იყოვო. რაფრათ ირევა, რომ ვიტყვი, ახლა წავალ დედა თქვა. შენი ნახვა ძალიან ეჩქარება, როდის მოვა მამა, ძალიან მინდა, რომ მალე მოვიდესო. გელთ, ჩემო დედა, მალე და მოდი მშვიდობით და ბედნიერათ, ისე რავარც შენ დედმამას უნდოდეს.

ძვირფასო ძმავლო! გისურვებ ყოველივე კარგს. როგორ ხარ. შენ ავამტყოფობამ ძალიან შეგვანუხა, რა არი ეგ შენი ყელის ტკივილი გაუთავებელი, ნუ თუ არაფერი ზომების მიღება შეიძლება, საბოლოოთ რომ მოსპო მაგ ყელის ტკივილი, დედა აქ არი, იჩქარის შინ წასვლას, ვერც ჩვენ ვაკავებთ, რადგან მამა ძალიან ღელავს, რა მიზეზია, არ ვიცი. ძალიან ხშირათ მოდის წერილი, სულ შენზე იწერება, ძან აწუხებს შენი მანდ ყოფნა. მაგრამ ანი მალე ჩამოხვალ, სანამ წამოხვიდოდე, მიწერე წერილი არგვეთში. შენი წერილი რომ მოუვა, დაწყნარდება, შენ უთუოდ დაგაგვიანდება, რადგან ტიცინი მოდის. თქვენები კარგათ არიან. იყავი შენც კარგათ. მოდი მალე. ბავშვებმა გაკოცა.

შენი მოყვარული პაშა

[არგვეთი, თებერვალი, 1933]

მედია იაშვილი – პაოლო იაშვილს*

ჩემო საყვარელო და კარგო მამიკო!

როგორ ხარ, მე უშენოდ ძალიან მომეწყინა, მალე ჩამოდი. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. ბებოს ბიძია კონიასთან აქედან წასვლა არ უნდოდა, სულ მარტო ვიქნებო. მალე ალბათ ბიძია ტუპიასთან წავა. მამიკო, მე ყველა წიგნები, რაც მქონდა წავიკითხე, და არ ვიცი, რა ვქნა. თუ იშოვი კარგ საინტერესო წიგნებს, ჩამომიტანე. თუ იშოვი | ტომს მაინც „Три мышекера“, ამბობენ, ძალიან კარგიაო. იყავი კარგად, მამიკო, და მალე ჩამოდი. მეტს ველარ მოგწერ, იმიტომ რომ სკოლაში მეჩქარება. გაკოცებ ბევრს, ბევრს, ბევრს. შენი მოყვარული შვილი მედია. ფისოსაგან მოკითხვა. ფისო უკვე სულ მარტო დადის ყველა ოთახებში. და ამბობს – დედა და მამა. გუშინ გაიხეთქა ტუჩი და ბევრი იტირა. ძალიან კარგი გოგოა. მე ძალიან მიყვარს.

[თბილისი, თებერვალი, 1933]

პაოლო იაშვილი – მედია იაშვილს**

ჩემო საყვარელო მედიკო!

კიდევ მივიღე შენი წერილი. ძალიან გამეხარდა, რომ შენ უკვე კარგად წერ ქართულად. ამ წერილში ასეთი შეცდომები ვნახე: „მე სწავლაში ვერ ვზარმაცობ“, უნდა დაგეწერა „მე სწავლაში არ ვზარმაცობ“. მეორე „ყველას ვლაპარაკობ ქართულად“, უნდა იყოს „ყველასთან ვლაპარაკობ“. შემდეგ: „მე კარგად ვარ ნუ ნუხდი“, უნდა იყოს „ნუ სწუხარ“ – მიუხედავად იმისა, რომ ეს შეცდომები იყო, წერილი ძალიან კარგად არი დაწერილი. ბევრს, ბევრს გაკოცებ, ჩემო საყვარელო მამიკო. ვარდისფერ დედოფალას და წიგნებს უთუოდ გიყიდი და მალე გამოგიგზავნი. რაც მოგენატროს,

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

** დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

მომწერე – ყველაფერს გიშოვი. მე ცოტა ავად ვიყავი, ახლა უკეთ ვარ, ავადმყოფობის დროს სულ შენ მენატრებოდი. დედას დაუჯერე, ხშირად ილაპარაკე ქართულად ბავშვებთან, არავის ნაეჩხუბო, და თუ მამიკო გიყვარს, ხშირად მომწერე წერილი. შენი სურათიდან თორმეტი გადავალეზინე და ვაჩუქე ჩემს ნაცნობებს, ერთი დიდი უნდა დავახატვინო მხატვარს, იმას შენ გაჩუქებ. მე შენთვის ვწერ საბავშვო ლექსებს, ცალკე წიგნად გამოვცემ, და სამი თვის შემდეგ გამოგიგზავნი შენ და ყველა შენ მეგობრებს. ახლა მოსკოვში ძალიან დიდი თოვლია და ყინვა, მე არ მცივა. კარგოთახში ვცხოვრობ და თბილად მაცვია. წერილებს კიდევ ბევრს მოგწერ. მომიკითხე ყველა ჩვენები, ბევრს გააკოცებ.

*შენი ძალიან მოყვარული მამიკო
[მოსკოვი, თებერვალი, 1933]*

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს*

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მედეია!

მივიღე შენი ორი ბარათი. მაპატიე, რომ ასე გვიან გწერ პასუხს. არ არი ერთი წუთი, რომ შენზე არ ვფიქრობდე, და რა ბედნიერია ის ხალხი, რომელიც შენ ყოველ დღე გხედავს. წერილები უფრო ხშირად მომწერე, მომწერე ორი სიტყვა, მაგრამ საკუთარი და არა სხვისი ნასწავლები. დღეიდან მეც ძალიან ხშირად გამოგიგზავნი ღია ბარათებს. აქ ძალიან ცივი ზამთარია. იყო დღეები, როდესაც ყინვა 30 გრადუსამდე დადიოდა, მაგრამ მე არ შემშინებია, ბინაში ძალიან კარგად ვარ მოწყობილი, და ჩაცმულიც თბილად. ცოტა რამ გიყიდე და გიგზავნი. ფეხსაცმელები და „ბოტები“ ვერსად ვიშოვე, შენი ფეხის სარგო არ არის, ხვალ კიდევ მაქვს იმედი, ერთს ადგილს არიან დაპირებული. ყოველ შემთხვევაში ამ დღეებში უთუოდ გავაჩენ სადმე და გამოგიგზავნი. კარგად მოუარე თავს, ჩემო გოგონა, შენ რომ კარგად არ იქნე, ჩე-

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

მი სიცოცხლე არაფრად აღარ ივარგებს, ბევრი ისწავლე, იკითხე, და მე არ დამივინყო. მე როცა დავბრუნდები, სულ ქართულად უნდა მელაპარაკო. მე რომ მოსკოვში მოვდიოდი, შენ სიტყვა მომეცი ყველას ქართულად ველაპარაკებო, ხომ ასრულებ დაპირებას. ახლა ბებო არი მად და იმის იმედი მაქვს. სკოლაში ხომ არ ზარმაცობ, ფრანგულს თუ კარგად სწავლობ. ყველაფერი მომწერე. შემატყობინე, რა გიყიდო, რა უფრო გაგეხარდება. დამიკოცნე ყველა ბავშვები, მომწერე, როგორ არიან ოთარი, კუკუნა, ვადიკო, ცუგა, ძაგულა, კუკუშა, ნიტა, თინა, ფისო. ათასს გაკოცებ.

*შენი მარად მოყვარული მამა პაოლო
[მოსკოვი, თებერვალი, 1933]*

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს*

ჩემო კარგო, ჩემო სანატრელო მედეია!
მივიღე, ჩემო მამიკო, შენი წერილი. ასეთი წერილები სამ დღეში რომ ერთხელ მომწერო, სულ გახარებული ვიქნები. ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს, მაგრამ სრული იმედია, რომ ათს დღეში მოვათავებ და ჩამოვალ. ყოველ დღე მე და შენ ვიაროთ ერთად, თეატრში წავიდეთ, ქალაქ გარეთ ვისეირნოთ. როგორ სწავლობ. მუსიკაში კარგად, როგორც ინერები. ავად რომ იყავი, რატომ არ შემატყობინე. მად, ტფილისში, ჩამოვიდა არჩილ მიქაძის ბავში, გუგა – უთუოდ გაიცანი, ძალიან კარგი ბავშია, შენ უთუოდ მოგეწონება და კიდევაც დაუშემგობრდები. გაკოცებ ბევრს, ჩემო კარგო გოგო. დამიკოცნე ბავშვები. მომიკითხე ყველა.

შენი მამიკო

1933 წ.

[მოსკოვი, თებერვალი]

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს*

ჩემო მედიკო!

დიდი ხანია შენი წერილი არ მომსვლია. გავიგე, რომ ტფილისში ყვავილის სახადა, უთხარი დედას, რომ აგიცრას, სანამდე არ დაგაჩდება. მომწერე, როგორ არის დედა, სონია, ემილია იოსიფოვნა, როგორ არიან ბავშვები, შენი ამხანაგები, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ. მე უშენოდ ძალიან მონყენილი ვარ, მაგრამ მალე ჩამოვალ და გნახავ. მომწერე, რა გამოგიგზავნო და რასაც მომწერ, ყველაფერს გიყიდი. ფეხსაცმელებს მალე გამოგიგზავნი. ბევრს გააკოცებ, ჩემო ძვირფასო გოგონა.

შენი მამიკო

[*მოსკოვი, თებერვალი, 1933*]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

24 თებერვალი, 933 წ.

ქ. მოსკოვი.

საყვარელო ნინა, ეს სამი კვირაა და შენგან ერთი ბარათი არ არის – ერთი დეპეშის გარდა. ხომ არ განწყდა სახლში ხალხი, მე რომ მოვდიოდი, ყველანი ავად იყავით.

ეს მეორე დღეა, ნორმალური ტემპერატურა მაქვს, მაგრამ ისეთ სისუსტეს ვგრძნობ, რომ ლანდივით დავდივარ.

ექიმები მირჩევენ, ჯერ კიდევ არ ავდგე ლოგინიდან და ყოველ შემთხვევაში, არ გავიდე გარეთ, სწორედ ისეთი მდგომარეობა არის, როგორც ქობულეთში იყო ჩამოსვლის წინ – თუ მომიხდა მართლა აქ დარჩენა – უნდა ვეჩვენო უეჭველად კრემლის საავადმყოფოში რენტგენისა და სხვა ანალიზისთვის.

ჩემ ავადმყოფობის გარდა არაფერს არ გწერ იმიტომ, რომ ჩაკეტილი ვარ ოთახში და ვერაფერს ვხედავ.

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

დამიკოცნე დედა, ნიტა, ქეთო, იოსება და ვინძლო მალე შევ-
ხვდეთ ერთმანეთს ტბილისში.

შენი ტიცვიან

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

25/II – 933 წ.

ნინა, გნერ ამ წერილს და ხელი მიკანკალებს, რა არი, რომ
ამდენხანს შენგან ერთი წერილი არ არის. სხვა არ იყოს რა,
ნიტას მაინც დაანერიებდი.

ისე კი ტელეფონით ქვეყანა შეინძრა და ეხლა არც დეპეშაა
და არც წერილია – რა ვქნა, არ ვიცი.

მე ეხლა სიცხე არ მაქვს, მაგრამ საშინელ დაღლილობას
ვგრძნობ – ასე მგონია, ერთი წელიწადი ვიყავი ავად. თუ მო-
ვახერხე, ამ კრემლის საავადმყოფოში უნდა ვეჩვენო ექიმებს
და გავაკეთებო ანალიზი: მაგრამ მკლავს ის, რომ თქვენგან
ამბავი არაფერია. ყველა ხომ ერთად არ გახდით ავად?!

ალბად ამ წერილს მეც ჩამოუხსნრებ – რაც არ უნდა იყოს, ვჩქა-
რობ ტფილისისკენ.

შენი ტიცვიან

[მოსკოვი]

სერგო კლდიაშვილი – ტიცვიან ტაბიძეს

ჩემო ტიცვიანელო!

შეგვანუხა შენმა ავადმყოფობამ. გაგვაგებიე შენი ამბავი.
ტელეფონით ვერაფერი გავიგეთ. ნინას დარდი ნუ გექნება.
ვეცდებით, ვუპატრონოთ, სანამ ჩამოხვიდოდე. წამოსვლას
ნუ აიჩქარებ – გამორჩი და მაშინ წამოდი. პაოლოს და შენ
ბევრს ვკოცნი. ნინა, ნიტა, თამარა და მედეა კარგათ არიან.

შენი სერგო კლდიაშვილი

[თბილისი, თებერვალი, 1933]

ტიციან ტაბიძე – სერგო კლდიაშვილს

Тифлис. Пр. Руставели. Дворец Труда.

Издательство „Шрома да Техника“. Серго Клдиашвили.

Москва, гост. „Европа“ З. Тициан Табидзе.

ძვირფასო ძმაო სერგუნია,

მივიღე შენი წერილის ნაგლეჯი და უზომოთ გამიხარდა – ყველაფერზე უფრო კიდევ ის, რომ იმედს მპირდები – მანდ, თუ ძმა ხარ, იაკინთემ არ დაგვჩაგროს, ორასი მანეთი მაქვს გამოწერილი გაზეთის ჰონორარი და უეჭველად მისცეს სახლში – თუ კაცად ვივარგე და გარეთ გამოვედი, შენ „ფერფლს“ უეჭველად წავკრავ „გიხლში“ ხელს. მე მგონია, შენი წიგნი ყველაზე რეალურია და მაქედანაც არის სიაში წარმოდგენილი. პაოლოს გოგლამ მისწერა შენი ამბები და „დახურულის“ გასამართლება – იყო ერთი სიცილის სიმჭონია. ვკითხულობ „აკადემიის“ წიგნებს და ვოცნებობ ტფილისზე. სალამი სონიას და მელიტას. ბევრს გაკოცებ.

შენი ტიციანი

[27 თებერვალი, 1933]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაცაშვილ-ტაბიძეს

1 მარტი, 933.

ქ. მოსკოვი.

ძვირფასო და დაუვინყარო ნინა! დღეს პირველი დღეა, რაც ავდექი და ტანისამოსი ჩავიცვი – ისე ვარ გამხდარი, როგორც ლადო გუდიაშვილის დახატულ სურათში. საერთოდ მოსკოვში რას იშოვის საჭმელად კაცი და ჩვენ სასტუმროში კიდევ ყველაფერი საძაგელია და თანაც ცეცხლი ეკიდება, ერთი ჭიქა რძე და კისელი თერთმეტი მანეთი ღირს – და ასე სადილი და ვახშამი. ეს არის, რომ გული არ მწყდება, რადგან არაფერს გემო არ აქვს. ეხლა პირდაპირ ვოცნებობ ტფილისში დაბრუნებაზე, ამ ერთ კვირაში ალბად მანდ

ვიქნები. ჩემზე ნუ გეფიქრებთ – როგორც იქნება, თავს გავიტან – ეს არის, რომ ქალაქში გამოსვლა მეძნელება და ფულის აღებას მიშლის, ისე კი, როგორც იქნება, შეუწუხებლად ჩამოვალ ტფილისში. აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვართ თავს და კარგად დამხვდებით. ამ წერილის პასუხს არ ველი. გნახავთ ტფილისში, დამიკოცნე დედა, ნიტა, ქეთო.

შენი ტიცვიან

სოფია დისმან – პაოლო იაშვილს

За Индустриализацию. Москва.

21/III. 33 г.

Уважаемый тов. Паоло Яшвили!

Редакция журнала „Строим“ в текущий номер помещает иллюстрации Рионгэса. По рекомендации тов. Стора обращаю к Вам с просьбой написать к Рионгэсу статью строчек на 200 газетных. Текст нам нужен не позднее 25-го марта утром. Посылаю Вам последние номера „Строим“. Просьба сообщить, каким образом и когда можно у Вас получить статью.

Звоните по моему домашнему тел. 4-10-19. Утром от 9 до 11 ч. и вечером после 8-ми ч. Спросить Дисман, Софью Наумовну. Жду звонка сегодня.

С. Дисман

გიორგი ნამორაძე – სერგო კლდიაშვილს

21/III. 33 წ.

პატივცემულო ბ. სერგო!

ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ბევრი მიზეზების გამო ვერ მოვახერხე, აქამდე პასუხი მომეწერა. ბ. დავითის მოთხოვნების თარგმანი პირველ კვარტალში უნდოდათ გადაეცათ

დასაბუქდათ. სამწუხაროდ, მე ვერ ჩავაბარე თავისს დრო-ზედ – 15 მარტისთვის. აქაც ხელი შემიშალა იმავე მიზეზმა, რამაც თქვენთან წერილის მონერაში. ეხლა 15 აპრილის-თვის უნდა უსათუოდ ჩავაბარო და ამის შემდეგ უსათუოდ გამოვაგზავნილებ ფულს, უკრლიტში გავლა მოუნდება ორიოდ დღე. მე აღარა მახსოვს, რა მოთხრობების თარ-გმნას ჰფიქრობდა მაშინ ბ. დავითი. მე ეხლა ავიღე „ქამუშა-ძის გაჭირვება“, „როსტომ მანველიძე“, „ბაკულას ღორები“, „სოლომონ მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“. ერთი სათხოვარი მეც მაქვს და იქნებ დამავალოთ. წიგნს ესაჭიროება წინასიტყვაობა, მონდობილი მაქვს მე ესეც, არა უმეტეს ერთი ფორმისა და არა ნაკლებ ნახევრისა. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მასალები მაქვს. ძალიან და-მავალებთ, თუ რასმე მომანვდით, ან კიდევ – თქვენს აზრს გამიზიარებთ ამის შესახებ და ნებას მომცემთ, იმითიც ვისარგებლო. თუ პასუხს არ დააგვიანებთ, კარგს იზამთ, თუმცა ვიცი, ეს წაგართმევთ დროს. ბოდიშს ვიხდი შეწუ-ხებისათვის.

თქვენი პატივისცემელი გ. ნამორაძე

მისამართი: Харьков 22, Клочковский спуск 2, кв. 67, Намо-რადзе.

ტიციან ტაბიძე – რაჟდენ გვეტაძეს

ძვირფასო და საყვარელო ძმაო რაჟდენ!

კვირაზე მეტია ვარ ქუთაისში – არის მოწყენილობა დემო-ნიურზე მეტი, მხოლოდ ვმუშაობ კი, რაც შემეძლება.

ჩამოვიტან წერილებს: შოლოხოვზე და მარიეტა შაგინიანზე. ეხლა ძალიან გთხოვ, როგორც პროვინციელი მწერალი, უეჭველად ამ ნომერში გაუშვათ ჩემი სამი ლექსი, უთხა-რი დავითსაც, რომ ძალიან ვთხოვ, ყოველივე მოსაზრებით. ამაზე იქნება დამოკიდებული ჩემი შემდეგი ლექსებიც და წერილი თქვენ გაზეთში.

12-ს აქ მოელიან მწერალთა კავშირის ხალხს, ალბად შენც იქნები – და ერთმანეთს ვნახავთ. თუ მანდ რამე იყოს საჭირო და ნინა მოვიდეს სათხოვრად, იმედი მექნება, რამეს გაუკეთებ – დანარჩენი შეხვედრისას.

შენი ტიცვიან ტაბიძე

6/V – 933 წ.

[ქუთაისი]

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

პატივცემულო სერგო,

თქვენი წერილი მივიღე 24 მაისს. პასუხის გაცემა მინდოდა მხოლოდ საქმის გამორკვევის შემდეგ. მდგომარეობა კი ასეთია: თქვენი მოთხოვნა უნდა დაიბეჭდოს 15 სექტემბრისათვის, მწერალთა ყრილობასთან დაკავშირებით. ამისათვის თარგმანი უნდა ჩავაბარო 5 აგვისტოს. ამ დღეებში ვდებ ხელშეკრულებას.


– რუსთაველი და ვაჟა-ფშაველას. როდესაც ცალკეულ ადამიანებს უნდა შეეძლოს მათი სახეების დასახელება, ეს უნდა იყოს მათი სახეების დასახელება. რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა მათი სახეების დასახელებას უნდა შეეძლოს. რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა მათი სახეების დასახელებას უნდა შეეძლოს.

Преданный вам Валериан Гаприндашвили

[თბილისი, 1933]

კოლაუ ნადირაძე – პაოლო იაშვილს*

ძვირფასო პაოლო!

ეს ეს არის ტიცინთან შემოვიარე. დამიხვდა ნახევრად შიშველი და დატვირთული მარტოობით. მეც უცნაურ მარტოობას განვიცდი. ამ ორ-სამ დღეში ლენინგრადში მივემგზავრები ლადო ლომინაძესთან ერთად და აქეთობას აუცილებლად გინახულებ მოსკოვში თუ არ გამომასწარი. ალის გაბითურების შესახებ ტიცინი გწერს. არ დამიკლია არაფერი. სამწუხაროთ ვერ ვცემე – ვალერიანმა ქომაგი გაუწია საბედისწერო წუთში. მედეა 1 სექტემბერს ჩამოვიდა. კარგათ არის და იკლებს მთელ ეზოს. მოგელით მოუთმენლად. რაჟდენის ტრაგედიის შემდეგ საჭიროა შენი სიტყვა და ცეცხლი. ყველაზე უფრო ჭიჭიკოსთვის, რომელიც მართლაც ნამეტი შეხმა.

გაკოცებ შენი კოლაუ!

ტიცინმა გადმოიღო თავის წიგნი, რომელიც უნდა გამოვიდეს სულ მალე. ვკითხულობ ლექსებს და ბედნიერებას ვეხები გულითაც და ხელებით.

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

„Не всякого полюбит счастье,
Не все родились для венцов
Блажен кто в этом сладострастье
Высоких мыслей и стихов“.

კოლაუ

[თბილისი, 1933]

**ტიციან, ნინო და ნიტა ტაბიძეები, თამარ და მედეა
იაშვილები, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი –
პაოლო იაშვილს***

ძვირფასო პაოლო!

ნინა უყვება თამარას სანყალი რაჟდენის ბავშვების სიკვდილს. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა.

დღეს იყო ლექსების ალიაქოთი – გოგლამ წაიკითხა მართლა მშვენიერი ლექსები – განსაკუთრებით შენ მოგეწონება – სულ ყველაფერი აშენებულია უფანტასტიურესს სახეებზე. წუხელის და დღეს ათჯერ დაიღია შენი სადღეგრძელო, პოეტის და ადამიანის, ურომლისოდაც საქართველო და პოეზია ც იქნებოდა ჯოჯოხეთი.

პაოლო, ვინმე რომ სინჯავდეს პოეზიის პულსს – იცოდე, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ შენი ხსენება, შენი იმედი, შენი მოგონება, შენი სიყვარული.

პასტერნაკის წერილი მაბრმავებს, მაგრამ ეს ყველაფერი შენი საქმეა – მაგრამ შენი საქმე „ყანების“ საქმეა და პოეზია ც მხოლოდ „ყანებია“ – პაოლო – შენ რომ ამაღამ ყოფილიყავი – უეცრად დაწერდი შესანიშნავ ლექსს – საქართველო ლექსების ძარღვია – და შენ ამ ძარღვის მაჯის ცემა და Сердцебиение...

[ტიციანი]

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

Паоло, пришли сюда с Медейкой, Тициан заставляет меня, чтонибудь написать тебе. Не знаю, насколько тебе это будет приятно, но пишу. Медейке повезло, здесь много детишек и ей весело, очень здорова и целует тебя.

Тамара

ჩემო მამიკო, გაკოცებ ბევრს.

შენი მედეია

ძია პაოლო, გაკოცებთ ბევრს. მედეია კარგათ სწავლობს.

ტანიტ ტაბიძე

ძვირფასო პაოლო, ყოველ დღეს, ყოველ წუთს ვართ შენს მოგონებაში. უშენოთ ვნაღვლობთ. გაკოცებ ბევრს. რაჟღენ ვნაღვლობს და ნატრულობს შენს ადესას.

შენი ნინა

ჩემო პაოლო, პასტერნაკის წერილმა ამაღელვა და ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მის საკუთესო ლექსებმა. უთხარი მას, მე ვერ გაუბედავ მოწერას, მივწერ ევგენია ალექსანდროვნას.

ნინა

გვაგიჟებს შენთან შეხვედრა. ვცხოვრობთ შენი სხივით და გკოცნით ყველაზე უყივჩაყესს პოეტს.

გოგლა

პაოლო, მე დღემდე მიხარიან, რომ ჩვენი თაობის პოეტებს შორის პირველად შენ გნახე სიღნაღის ნანგრევთა შორის ჩვენი ახალგაზრდობის პირველ დღეებში: მე იმავე სიყვარულით მიყვარხარ – ყველაზე მაგარი და უნაზესი პოეტი საქართველოში. ქუჩაში მიმავალი რომ დამინახვიხარ – რამდენი სიხარული მომდებია. შენს ვაჟკაცს მხრებს – ძალიან შორიდან ძმურად ვეხვევი.

ილ. მოსაშვილი

[1933]

პაოლო იაშვილი – თამარ ოქრომჭედლიშვილ-იაშვილს*

Письмо прервал на один день. Сегодня ты и Тициан говорили со мной по телефону из Тифлиса. За последнее время я нажал на работу, перевожу Пушкина, хожу в неделю два раза к Ю. Балтрушайтису, переводяику Руставели, и руковожу переводом, а последние дни целиком занят работой над литературной переделкой сценария Нуцы для кино. Живу я с Леваном очень хорошо, и только здесь почувствовал настоящее тепло и товарищеское к себе отношение. Только здесь понял как мрачно было у Авдеева. Я с Василием Никифоровичем сохранил очень тёплые и дружеские отношения.

[1933]

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს**

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მამიკო!

ძალიან დამნაშავე ვარ შენთან, რომ წერილებს არა გწერ. არც შენ მწერ და მე სულ შენუხებული ვარ. ნუ თუ კიდევ ავად ხარ. მე ძალიან მალე ჩამოვალ და მივიღებ ყველა ზომებს რომ შენ სრულებით კარგად იქნე. გიგზავნი ცოტას, მე რომ ჩამოვალ კიდევ ბევრს რამეს ჩამოგიტან. შენ ალბად მიწყრები რომ ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ მალე სულ მალე ვიქნები შენთან. მერე სულ ერთად ვიქნებით, ყველგან ერთად წავალთ, ბევრ ამბებს და ზღაპრებს მოგიყვები, ახალ წიგნებს ჩამოგიტან და კარგად წაგიკითხავ, ლექსებს დაგიწერ. ალბომებს მე თვითონ ჩამოგიტან და ლექსებს ყველა ჩემი ამხანაგები ჩაგინწერენ. მე ძალიან კარგადა ვარ, ავად არ ვყოფილვარ, ყელიც არ მტკენია, თუმცა მოსკოვში ისეთი სიცივეები იყო, რომ ცხვირი ისე მიწითლდებოდა, როგორც წითელი ბოლოკი. შენ ეს წერილი რომ მოგივა, იმ დღეს მე

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

** დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

აქედგან წამოვალ. გაკოცებ იმდენს, რამდენი ვარსკვლავია ცაში, რამდენი ღერი თმა გაქვს შენ, და რამდენი სანტიმეტრია მოსკოვიდან ტფილისამდე – უსათუოდ გამოითვალე ეს ყველაფერი და რომ ჩამოვალ, მითხარი. ყველა მომიკითხე.

*შენი ძალიან, ძალიან მოყვარული მამიკო
1933-34 წლის ზამთარი*

პაოლო იაშვილი – მედეა იაშვილს*

ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო მედეია!
მომივიდა შენი ბარათი, ძალიან გამახარა. შენ კარგად ყოფილხარ და კარგადაც უნდა იქნე. მე ძალიან მალე ჩამოვალ და სულ შენთან ვიქნები. შენ რაც მთხოვე, ჯერჯერობით გიგზავნი ნითელ ბერეტს, შოკოლადს და კაკაოს. შოკოლადი ამის წინადა კიდევ გამოგიგზავნე – ხომ მიიღე გოგლიკ გაბუნიას უნდა ჩამოეტანა. შაქარს და სხვას რასაც მთხოვ, გამოგიგზავნი ამ დღეებში – ვინმე წამოვა და გამოვატან. შენ ამ ბარათს მოგიტანს სალომე ყანჩელი, ჩემი მეგობარი, რომელიც ხშირად იყო ჩემთან და ძალიან კარგი ბავშია. შენ მას უნდა დაუშეგობრდე, ჭკვიანი და ნიჭიერია. აქ არის ახლა ლანიკო ლოლობერიძე – ბიძია ლევანის ბავში. მე ის ძალიან მიყვარს და ხშირად ვართ ერთად. შენ ხომ იცი, რომ მე ბავშვები ძალიან მიყვარს, ჭკვიანი და კარგი ბავშვები მით უმეტეს. სალომე და ლანიკო რამოდენიმეთ მიმსუბუქებდენ აქ უშენობას. ერთხელ როდისმე მე და შენ უნდა ჩამოვიდეთ მოსკოვში. იყავი კარგად, ჩემო ძვირფასო მამიკო. მალე მომწერე წერილი. ბიძია ტუპის აკოცე ჩემს მაგიერ და მიულოცე. მომიკითხე ყველა.

*შენი ძალიან მოყვარული და მონატრული მამა პაოლო
[1933-1934]*

* დაცულია პაოლო იაშვილის საოჯახო არქივში.

1934

ტიციან ტაბიძე – ერმილე ბედიას

განათლების სახალხო კომისარს ამხ. – ე. ბედიას
თანახმად განსახკომის კოლეგიის დადგენილებისა, მე მივ-
ლინებული უნდა ვყოფილიყავი მოსკოვში ყაზბეგის მუზეუ-
მის შესახებ. კოლეგიის მიერვე გამოტანილი იქნა მეორე
დადგენილება ჩემი მოსკოვში გაგზავნის ქართული პოეზიის
დიდი ანტალოგიის რუსულად გამოცემისათვის, როგორც
ამ ორგკომიტეტის მდივანი.

დღემდე ამ საქმეების გამო ჩემი მოსკოვში გამგზავრება
შეუძლებელი შეიქმნა, რადგან შესაფერი წინასწარი მუშაო-
ბა ჩატარებული არ იყო. ვინაიდან ამ ჟამად ამ საკითხების
გამო ჩემი გამგზავრება უკვე შესაძლებელია, მე გადანყვე-
ტილი მაქვს, გავემგზავრო მოსკოვში და ლენინგრადში ერ-
თი თვით ა/წ. 21 იანვარს, ამიტომ გთხოვთ, გასცეთ განკარ-
გულება, გამომწეროს მე საგზაო და მივლინების ხარჯები
და მომეცეს ანგარიშ-ქვეშ სამი ათასი მანეთი.

ტიციან ტაბიძე

1934 წლ. 19/1

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

Здравствуйте, милый автор,

Какое обилие – письма, книги, матерьял! Вы не представите,
что для меня все это – особенно здесь, в Москве.

4-го февраля заключила договор на перевод новелл. Пе-
ревод должен быть представлен 1 апреля („1-ое февраля“
Вашего договора очевидно, описка). Говорила с Зуевым и
предупредила его: допускаю редакцию только в том случае,
если она будет делаться человеком, знающим грузинский.
Такого в редакции „Советской литературы“ – нет и поэтому

Зуев предложил решить дело перевода „полюбовно“. Что-ж, пусть так, это значит, что каждая моя запятая – возьмет.

Я рада, что перевод Вам по душе. Основное сделано: во всякой переводческой работе „синяя птица“ – это воля автора и она, очевидно, была у меня в руках, когда я работала над „Пеплом“. Очень скоро получу его окончательную корректуру и в марте книга, очевидно, будет. Об оформлении предстоит особый разговор.

Новеллы прочла. Хорошо – „Цицино Гуриели“ и по стилю – своиские. Другие – слабее (Вы обещали выслать дополнительно две, но их нет). Образцы переводов вышлю.

14 февраля на две недели еду в дом отдыха (Горки).

В конце апреля буду в Тифлисе и увижу, наконец, Вас. Я рада этой встрече.

С ზაბო говорила о Вас. Я прочла ей Ваши письма – пожалуйста, шлите их еще и еще.

Хочу Вам предложить следующее: кажется „Заккнига“ предполагает издание сочинений Давида на русском языке (кто взялся за столь ответственное дело?). Давайте переведем Ваши воспоминания о Давиде с тем, чтобы предпослать их его сочинениям в виде биографического материала. Я люблю эту вещь – из всего, что я у Вас читала, это едва-ли не самое проникновенное.

Здесь сейчас Соломон Иорданишвили – мой давний друг – приехал „пристраивать“ „ვეფხისტყაოსანი“.

Прощайте же.

Жду приветов и писем.

Ната

15-11-34, [ძმბკოვნი]

Р. С. О С. Канчели и Абакелиа Зуеву передам.

За книги (Данте и персидских лириков), за газеты – спасибо. Для меня это – живые куски родной жизни.

Н.

რეზონი ტინიანოვი – ტინიანოვი ტაბიძის

Ленинград, 17. II. 34.

Дорогой Тициан!

Очень рад, что Вы с Ниной Александровной скоро у нас будете, и с нетерпением Вас поджидаем. Бумагу, которую Вы мне прислали, уже сообщил в Изд-ве и „Г-не поэта“. Все с радостью ее приняли и приложат все старания, чтобы издать настоящим образом грузинских романтиков. Смутило всех только Ваше упоминание о том, что большая часть материала войдет в книгу, к-рую Вы издаете в изд-ве „Советская литература“. Дело в том, что и „Г-не поэта“ и издательству хочется издать книгу своеобразную и не дублирующую других. Придется подумать о каком то „размежевании“ обоих изданий.

Большое спасибо, что избрали меня членом комитета по изданию Антологии – Вы знаете, как я интересуюсь грузинской поэзией и люблю ее.

А летом мы с женой как будто действительно собираемся в Грузию. С большой радостью вспоминаю о вечерах, как Сергей Давидович изображал отца Гамлета!

Сердечный мой привет Нине Александровне. Жена и дочка Вас заочно знают и будут рады познакомиться.

Пастернакам кланяюсь – не прибудут ли и они с Вами?

Обнимаю Вас, друг мой.

Ваш Ю. Т.

В самом конце м-ца, числа 27 или 28 мне придется на 4 дня уехать, – как устроить, чтобы это не помешало нашему свиданию?

ნიკოლოზ მინიშვილი – პეტრე აღნიაშვილს*

Тифлис, 20 марта 1934.

Многоуважаемый Петр Семенович.

В первые дни моего приезда из Москвы я не мог видеть Вас, т. к. я вынужден был бы говорить о той неприятной истории, жертвой которой я чуть было не стал. Мое дело было ясное и правое, но все же мне неудобно было идти к Вам, хотя бы с тем, чтобы доказывать свою правоту и опрометчивость предпринятых в отношении меня мер взыскания.

Вопрос мой был вскоре урегулирован, приказ о моем снятии – отменен и в каком-то отношении я должен чувствовать себя удовлетворенным. Хотя хабуть происшедшее – трудно.

Я знаю – это дело кончилось в таком виде не без Вашего участия, но если бы оно кончилось иначе, все же злоупотреблять Вашим вниманием я не мог.

Мне кажется, что теперь я могу встретить Вас без особого смущения. И т. к. у меня есть к Вам очень большая, литературная просьба, – прошу уделить мне немного минут, когда Вы это найдете возможным.

Уважающий Вас Нико Мицишвили

Т. Орагвелидзе. Прошу принять тов. Мицишвили. П. Аг.

Вопрос исчерпан решеием ЦК. 14. V. 34. Орагвелидзе.

ტიციან ტაბიძე – სერგო კლდიაშვილს

Тифлис, Варციხская (быв. Семеновская), №16.

Серго Клдиашвили.

ძვირფასო ძმაო სერგო! ვარ უშენოთ ტაშკენტში და შუააზიაში და ძალიან ვწუხვარ. ამ წერილს გწერ ქეთოს ბინიდან – ქეთო, აკბარი და სოსიკო ღმერთივით დამხვდენ და ერ-

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 306.

თი გაუთავებელი ქეიფია და შენი მოგონება და საყვედური, რომ არ სჩანხარ: ნინას მივწერე დეპეშა ჩამოსულიყავი, მაგრამ გაზეთში ნავიკითხე, რომ თურმე კოლხიდმშენში წასულხარ – თუ შენებურად სურამის ელექტრო-მანქანის ოინი ქენი, ხომ რა კარგი, თორემ ისე კოლხიდა ვერაფერი სასეირნო ადგილია. ორი შენი წიგნი გენიალურად გამოდის მოსკოვში – და ყველა კრებულებში შეტანილი ხარ ღმერთივით: ძალიან გიგონებენ იური ტინიანოვი და ალექსანდრ ზუევი. ორივე ღმერთივით ბიჭებია და რომ ჩამოვალ, მაშინ მოგიყვები. გაკოცებ ბევრს – სალამი სონიას და დამიკოცნე მელიტა.

შენი ტიცციანი

[ტაშკენტი, 2 აპრილი, 1934]

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

Тифлис, Вардцихская (б. Семеновская),

Серго Давидовичу Клдиашвили.

Москва, Красная пл. Исторический музей, Н. Чхеидзе.

8-IV-34.

Здравствуйте, милый автор,

письма, матерьялы, мемуары Давида – получила. Теперь жду книгу его рассказов и Ваши письма – еще и еще. Это жадность, но Вы-же сами в ней повинны: зачем было приучать меня к такому обилию?

В ближайшее время вышлю образцы переводов „Цицино Гуриели“, „Повелитель Лашхии“, „Ушгул“, „Мурзакан“. Вещи эти просили меня для альманаха „Год XVII-й“. „Цицино“ я уже сдала, другие сдам на днях. Гольцева я не видела, но думаю, ничто не помешает передать эти новеллы и ему для грузинского сборника. Недавно была его статья в „Литературном Критике“ по поводу русского издания книги Буачидзе „Обзор грузинской литературы“. Статья пустая ни в меру, но он справедливо цукнул Бенито за лающий тон его критики. Не знаю, как сейчас, но еще очень недавно Бенито был из тех критиков, о которых сказано:

„Охотник до журнальной драки
Сей усыпительный зоил,
Разводит опиум чернил
Слюною бешеной собаки“.

Вы предлагаете перевести Давида. Сейчас, пока я вновь не вернулась к его вещам (думаю, что лучше всего это сделать вместе с Вами) – я ничего не могу сказать. Конечно, это очень большая ответственность – и перед собой и перед обеими литературами – и для меня она очень привлекательна. Но вопрос этот отложим до Тифлиса.

Сейчас, кажется, придется мне взяться за перевод „ბათა ქექია“ Демны. Вещь я знаю только в отрывках и представляется она мне очень сложной. К тому-же она велика и закабалит меня надолго. Но все ж придется мне ее взять – чтоб двинутся в Тифлис: там ждет меня Алик, двухлетний гражданин вселенной, давно уже объявивший: „ნატა დეიდა ჩამოვა აპრილში“. Могу-ли пересрочить?

Мемуары Давида читаю. Они особенно увлекательны здесь, в Москве.

10-IV-34

Только что получила книгу Давида и Ваше письмо – и следом – известие о смерти моей мамы. Мне очень трудно сейчас оставаться в Москве и я все усилия принимаю к тому, чтобы выехать поскорей. Работу над Вашими вещами закончу в Тифлисе. Все-же (на всякий случай) остальной матерьял вышлите возможно скорее. Относительно Абакама поговорю с Зуевым. Всего лучшего.

Ната

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ძვირფასო ნინა! წუხელი ჩამოვედი სამარყანდში. ვერ წარმოიდგენ, რა ქალაქია – სულ მთლად ერთიანად მეჩეთებშია

გახვეული და ეს სურათიც თემურ ლანგის ანუ ტემერლანის საფლავია – ჟრუანტელის მომგვრელი – დავდივარ ქარაკუმში და ვეძებ მიშას კვალს. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაგენი. გაკოცებ ბევრს შენ და ნიტას. დედას და იოსებს ჩემი სალამი.

შენი ტიცციან

[სამარყანდი, 18 აპრილი, 1934]

ტიციან ტაბიძე – ნიტა ტაბიძეს

ჩემო ძვირფასო და საყვარელო გოგო ნიტკო, გაკოცებ ბევრს და ველი შენ ნახვას. მე ეხლა ვარ სამარყანდში. აკოცე ბებოს, დედას და იოსებას.

შენი ტიცციან ტაბიძე

[სამარყანდი, 18 აპრილი, 1934]

ტიციან ტაბიძე – ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს

ძვირფასო ნინა, გწერ ამ წერილს სამაყანდის ვოკზალიდან. აბა, შენ იცი, თუ ოჯახს არ დაამშევ – თუ მომცეს ფული ასხაბადში, გამოვავ ზავნი.

შენი ტიცციან ტაბიძე

[სამარყანდი, 19 აპრილი, 1934]

ვიკტორ გოლცევ – სერგო კლდიაშვილს

Дорогой Сергей Давидович!

Спасибо за быстрый ответ и за любезный отзыв о моей книге. Так как мы с Павленко предполагали в апреле снова поехать в гостеприимный Тифлис, то экземпляра „Саванэ“, предназначенный для Вас, я не отправил в Тифлис по почте или с Н. И.

Мицишвили. Но поскольку Вы книжкой заинтересовались, я все таки ее пошлю Вам, не дожидаясь поездки.

Спешу заверить Вас, что у меня нет никаких „теорий“ о „самостоятельном“ происхождении сванов. Ничего общего с Вяч. Ковалевским я не имею и не желаю иметь. Конечно, свани – картвелы и особого народа собой не представляют. Но в процессе исторического развития они, будучи не раз оторваны от остальной Грузии, не могли не обособиться. Отсюда – частичное непонимание грузинского языка сванами, проявляемое не так редко. Ведь в разговорный язык сванов попало много слов не грузинских вовсе, а другие грузинские слова постепенно искажались. Отсюда и получилось, что сваны говорят на языке „своем“, т. е. на смеси грузинского с рядом других. И этому своеобразному „жargonу“ грузинская письменность соответствует далеко не полностью. Тем не менее, должен признать свою формулировку в книге неособенно удачной. Сванов я, действительно, люблю, как всю горную Грузию, да и вообще просто – всю Грузию. Мечтаю летом собрать материал для книги о коренной, „настоящей“ Грузии, преимущественно в плане переделки человеческой жизни путем соц. строительства.

Начал я свое письмо с того, о чем следовало бы написать в конце, а теперь примусь за настоящее начало.

Вчера мне сказали в ГИХЛ-е, что Ваш „Пепел“ уже подписан к печати. Относительно размеров рисунков к Вашим новеллам я уже сообщил А. Н. Зуеву и зав. художественной частью Н. Г. Машковцеву. Последний пошлет новое письмо Тамаре Абакелия. С Н. Н. Чхеидзе я обязательно установлю деловые отношения. Очень рад, что Вам повезло с переводами. Как правило, переводы с грузинского просто ужасны. Я это узнал очень хорошо, намучившись с альманахом „Сахелгами“ и со сборником новелл Лео Киачели.

Очень интересуюсь Вашей исторической повестью „Халдэ“. Очевидно, она будет посвящена халдейскому восстанию. У меня самого есть довольно-таки неопределенный проэкт, написать нечто беллетристическое о Халдэ, но не в виде

исторической повести. Впрочем, я не беллетрист и едва ли отважусь когда-нибудь на это дело.

Текст Вашего „Пепла“ я попросил доставить мне из ГИХЛ-а. Хочу ознакомиться с ним до его выхода в свет.

Буду очень рад, снова повидаться с Вами. Большой привет друзьям.

Искренно уважающий Вас Виктор Гольцев

P. S. Здесь, в Москве мы уже не раз пили за Ваше здоровье – вместе с Тицианом Табидзе, Паоло Яшвили и Н. И. Мицишвили, а также и без них.

Жму Вашу руку. У Вас в Тифлисе, наверное, уже тепло. А в Москве прохладно и очень сыро. Весь город разрыли из-за строительства метро: не пройти, не проехать. Со временем будет хорошо, но пока-что – отвратительно.

Началось ли печатание собрания сочинений Вашего покойного отца? У меня есть мечта – издать в „Academia“ его одготомник. Подумайте на эту тему, а я бы поговорил с Л. Б. Каменевым.

Еще раз большое спасибо Вам за сердечное ко мне отношение.

Ваш В. Г.

Москва, 24 апреля 34 г.

რიურიკ იზნევ – რაჟდენ გვეტაძეს

Грибоедовская 37. Раждену Матвеевичу Гветадзе.

Дорогая Нина Романовна и Ражден Матвеевич!

Шлю Вам из Москвы мой сердечный привет. Очень жалею, что не смог провести у Вас перед отъездом вечер. Один раз был у Вас и не застал дома. Надеюсь, повидать Вас в Москве на съезде.

В августе собираюсь в Тифлис. Скучаю без него, так привык за эти несколько месяцев к нему. Книгу переводил, сдал в

из-во; рассчитываю, что Вы пришлете мне еще подстрочник
Ваших стихов для журнала.

Ваш Р. Ивнев

3/V. 34

Адрес: Москва, 69 п/о, до востреб.

მარიამ მაჭავარიანი – სერგო კლდიაშვილს

შვილო სერგო! ვერიჩკამ მითხრა, სონია იყო ავათო. მე იმას ვწუხვარ, ვაი თუ მართლა ავათ არის, თორემ ძალიან გასალანძლავი ხარ ჩემგან. რას გიშავებთ ასეთს, რომ ასე დამივიწყეთ ყველამ. თუ განუხებთ ხან ფულის აღებაზე, ხან სახლის შესახებ, ან ალარ შეგანუხებთ არავის. ეს ყველა თქვენვე გხმარდებათ. მე მოვითმენ ყორიფელს, ვეგდები ასე საცოდავათ, როგორც ვარ, რომ ადგილი არა მაქვს, რომ დავწვე დაუსველებლად. სახლი სულ გადახთილია, ლამფები ჩამოცვინდა, კილამ თავში დამეცა. ცხენის ბაჟის (450) მანეთი გადასახთელი მომანერეს, ამასაც გავყიდი, აბა, სადა მაქვს ამდონი, რომ გადავიხადო. ვენახის წამალი ძლივს მომცეს 2 გირვანქა. იყოს ისიც, აბა, რა ვქნა. ამის მონერაც არ მინდოდა, მაგრამ ეს არის უკანასკნელი ჩემგან შეწუხება სიტყვითაც და ისე არა, ჩემო დედა, ალარ შეგანუხებ. რომ მქონდეს საშვალეზა, მე თითონ ამოვიდოდი და ამ სახლის შესახებ რაცხას გადავწყვეტავდი. დავანგრევ და ორ ოთახს ავაშენებ, დანარჩენს გაკეთებაში მივცემდი. ასე უნდა ვქნა მაინც და საყვედური არავისაგან არ გავიგონო. ხვალ მივალ ოსტატთან, მოურიგდე. ყურებამ და შეპირებამ რა დღეში ჩამაყენა, ნახავ. თქვენ იყავით კარგათ და მე ვიქნე ასეთ დღეში, არაფელია, დიდხანს ხომ ალარ ვიცოცხლებ, ვიცი. ტანჯვაში ვატარებ ჩემს სიცოცხლეს სულ.

დედა

ვაკოცებ სონიას და ლიალიას. როგორ არიან, ვიცოდე მაინც.

3 ივნისი

[სიმონეთი, 1934]

იური ტინიანოვ – ტიციან ტაბიძეს

13. VI. 34.

Дорогой Тициан!

Завтра едут в Тифлис Елена Александровна и Инна, как передовой отряд, а я – арриергард, двинусь около 20. Не совсем ясно представляю себе, где и как можно на лето устроиться – будьте нашим Вергилием (III ч., парадная).

Привет Нине Александровне и всем друзьям.

Ваш Юр. Т.

[*ლენინგრადი*]

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

Милый Серго,

очень ждала Вашего появления последние дни и ни дождалась. Плохо...

Сейчас еду после осложнений с билетом (вместо вчерашнего скорого еду сегодня пассажирским). Жду в Москве Вашего остального материала или вернее, Вас самого. Приезжайте утешить ფატი, а заодно и меня.

Уезжаю с грустью, что не сумела досыта хлебнуть родного неба. Следующий мой приезд будет результатней.

Книги – Ваш подарок – везу и думаю, одну из них передать от Вас ფატი.

Гонорар шлите на Москву.

Привет. Привет.

Ната

12-VI-34

Кола и Бабея возвращаю с благодарностью.

Пишите: Москва, Красная пл. 2, Исторический музей.

სერგო კლდიაშვილი – მარიამ მაჭავარიანს

18 ივნისი.

დედა, ნუცა, გოგი!

საოცრად მიკვირს თქვენი საქმე. რატომ არაფერს იწერებთ? რატომ არ შემატყობიეთ, რა ქნა გოგიმ ქუთაისში წყალტუბოს შესახებ? ძნელი არ იყო ერთი წერილის გამოგზვნა. საჩქაროდ ველი თქვენგან ცნობას. სონია მოდის და ველარ გამოვეტიეთ. ფული არ მოუციათ ჯერ და უფულოთ როგორ ჩამოვიდეს! როგორც კი მივიღებ, მად ვართ გარქვნილი. პოკო კომანდიროვკაში იყო აქამდი და ამიტომ ვერ ვნახე. დღეს უნდა დავხვერო – იქნებ ჩამოვიდა. რა ამბავია სიმონეთში? ნუცა, მოინერე მადაური ამბავი – როგორია ფასები, რას ჭამთ, დედიკო როგორაა და შენი მერცხლები. ჩემი მელიტუნჩიკი გვახჩობს – მალე წამიყვანეთო. ინამეთ ღმერთი, მომწერეთ საჩქაროთ. დედა და ბავში ერთად უნდა წავიყვანო წყალტუბოში.

თქვენი სერგო

[თბილისი, 1934]

ბ. ოსტროგორსკი – ვალერიან გაფრინდაშვილს

Издательство Московское Т-во Писателей, Москва.

13 июля, 1934 г.

Уважаемый товарищ Гаприндашвили!

Издательство московского т-ва писателей просит Вас в возможно краткий срок прислать на имя тов. Гольцева В. В. (Москва 2, Сивцев-Вражек 20, кв.3) свою небольшую автобиографию с указанием основных этапов вашего идейно-творческого развития и с приложением библиографии (хотя бы краткой) Ваших произведений. Помимо даты Вашего рождения нужны также сведения о том, когда Вы начали писать, когда появилось в печати первое Ваше произведение. Кроме

того, было бы желательно получить от Вас сведения, какие поэты Грузии или других стран оказывали воздействие на Ваше творчество и в какой период.

Указанные материалы совершенно необходимы для составления био-библиографических примечаний к сборнику переводов грузинских поэтов, сделанных Борисом Пастернаком. От вас зависит не задержать выход в свет этого сборника.

Зам. гл. редактора: Н. Острогорский

გიორგი ლეონიძე – შალვა რადიანს

სახელგამი. შალვა რადიანს.

18. VII. 34.

ძმაო შალვა!

დღეს გირეკეთ მთელი სალამო და ლამის 12-ზედაც არავინ მიპასუხეთ. მუზეუმში მინდოდა წამეყვანეთ. დილაზე ბაკურიანში მიმყავს ცოლ-შვილი და რადგან ბევრი სარბენი საქმე მქონდა (ბაგაჟი, ჩალაგება, ბილეთი და სხ.), მაინც რაკი ქეთოს შევპირდი, მინდოდა, მეჩვენებინა მუზეუმი. რაკი ველარ გიპოვეთ, მე თვითონ წაველი, მოვძებნე ბარბარეს მასალა და მზად მაქვს გადმოსაცემად. ეს მასალაა „ორიოდე სიტყვა ჩვენს ყმანვილკაცობაზედ“ და წერილი რედაქციისადმი. მე დავბრუნდები 26-27-ში და მაშინ გადმოგცემთ. შალვა! „შაჰნავაზიანის“ წინასიტყვაობასაც მაშინ ჩამოგიტან. თბილისში აღარ მომეცა საშველი ამდენ რბენაში. ბაკურიანში დავასრულებ.

დიდი მოკითხვა და სალამი ქეთოს და თქვენებს.

ამ წერილს გწერ სალამოთი და დილაზე მივდივარ.

გოგლა ლეონიძე

[თბილისი]

ილო მოსაშვილი – რაჟდენ გვეტაძეს

ძმური სალამი რაჟდენს!

გაგიხარდება.

მოსკოვის ნაცვლად – ბაკურიანში ვარ და გელი.

რაჟდენ ჩემო, დიდ მეგობრულ სამსახურს გამინევ, თუ ცოტაოდენ ფულს გამომიგზავნი.

შენ სამასს შემპირდი და ეგ ჩემთვის ეხლა პირდაპირ ცხოვნება იქნება.

ჩვენ ხომ ყველა გვჩაგრავს და ერთმანეთს ჩვენ მაინც დავეხმაროთ.

ბაკურიანში ჩინებული ამინდია და ყოველნაირად დაისვენებ, რომ ჩამოხვიდოდე.

უშენოდ არ მივდივარ მეცხვარეების ბინებში.

გელი.

შენი ილო მოსაშვილი

1934-19/VII

გრიგოლ ცეცხლაძე – რაჟდენ გვეტაძეს

გამარჯობა ძმაო რაჟდენ!

როგორ ხარ. ამბობენ ტფილისში დიდი სიცხე დაიწყო. როდის აპირებ აგარაკზე წასვლას. ნინა ხომ კარგათ არის. აქ ამინდები კარგია. შენი ბავშვები კარგათ არიან.

ისე ქვიშხეთში რომ წამოვედი, ძლიერ ვნანობ. რაღაც არეული ხალხია წრეულს ჩვენს სახლში.

რაჟდენ, იქნებ მოახერხო ან სახელგამიდან ან ფედერაციიდან ფული ამილო. შენ რომ ევგენი ონეგინი გაქვს პოპულარული გამოცემა, ის უთუოდ გამომიგზავნე, მე მქონდა და დავკარგე, ეხლა კომენტარიებს ვადგენ და ძლიერ მჭირდება. ერთ კვირაში მეც ვაპირებ ტფილისში ამოსვლას.

სხვა აქაური რა მოგწერო. საერთოდ მონყენილობაა. ხანდახან ვთამაშობთ ფრაპს.

ქვიშხეთი, 23/VII. 1934 წ.

შალვა აფხაიძე – რაჟდენ გვეტაძეს

რაჟდენ სალამი!

ძლიერ მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ მოვახერხე. შენ დამპირდი, რომ ერთად გავუშვებ ორ ლექსსო. ორი კი არა, ერთიც არ გაგიშვია. კაცო! თქვენი ვერაფერი გამიგია. სწერს კაცი – არ ბეჭდავთ. არ წერ და საყვედურია – რატომ არაფერს აკეთებო. ძლიერ დაიმედებული ვიყავი, რომ რამეს გაუშვებდი. არ ვიცი, რატომ დაბრკოლდა. ნინას უთხარი მაინც მიზეზი.

ახლა გიტოვებ ხუთ ახალ ლექსს. ერთი დიდია. მე მგონია, აქ საეჭვო არაფერი აღარ უნდა იყოს. თამამად შეიძლება მათი დაბეჭვდა. არც მხატვრულად არიან მანცდამაინც სუსტნი და ისედაც მისაღებია სავსებით.

ესენი მაინც დამიბეჭდე, თორემ არავითარი ხალისი აღარ მექნება. ამ ლექსებს შორის შეიძლება შენ რომ გაქვს – მათი დაბეჭვდაც.

რა უყავით წერილს რუსთაველის თეატრის შესახებ?

უთხარი ნინას!

მივდივარ მოსკოვ-ლენინგრადში გასასეირნებლად.

იმედი მაქვს – ჩემს ინტერესებს დაიცავ.

პატივით შალვა

30/VII. 34 წ.

[თბილისი]

ტიციან ტაბიძე – რაჟდენ გვეტაძეს

...ამ წერილს გწერ ერთ-ერთ გამომცემლობაში, სადაც ლაპარაკია ახალ მწერლებზე – ნ. ტიხონოვს გაუკეთებია დიდებულად შენი „მერკვილაძის დები“ – და ძალიან მალე დაიბეჭდება ან „იზვესტია“-ში, ან „პრავდა“-ში – თვითონ ძალიან აქებს და სხვა მწერლებისაც წაუკითხავს. ჩვენ აქვე ვცხოვრობთ წყნარად და მშვიდათ – სენსაცია არაფერია – ასე რომ, უფ-

რო დიდი წარმოდგენის ვიყავით ტფილისიდან ამ ყრილობაზე. ეს კია, რომ ლექსებს მიეცემა ეხლა დიდი გასაქანი.

შენი ტიცვიანი

[მოსკოვი, 22 აგვისტო, 1934]

ტიციან ტაბიძე – სერგო კლდიაშვილს

ძვირფასო ძმავო სერგო, გწერ ამ წერილს, მაგრამ აქამდე გული მიფრიალებს.

ჯერ როგორ აჩქარებული წამოვედი, სული არ მომითქვამს, მატარებელშიც საერთაშორისო ვაგონის ადგილები ვერ ვიშოვე და გადაღლებული ჩავედი მოსკოვში თოთხმეტი საათის დაგვიანებით.

თითქმის იმ დღესვე მომიხდა გამოსვლა. 5 საათზე დაბარებული ვიყავით ა. ბუბნოვის ბინაზე ყველა მომხსენებლები და სიტყვის მთქმელები.

და იყო ბჭობა დიდი, როგორ შეემოკლებიათ ორატორები, ვისაც ერთი საათი ჰქონდა მიცემული, 25 წამამდე დაიყვანეს და მე როგორც იყო, 10 წამი მომცეს.

მაგრამ როცა თეატრში მივედი და პრეზიდენტში დაჯდენ მთავრობის წევრები, კიდევ ერთხელ დაინყეს შემოკლება, აკადემიკოსს ორლოვს 25 წამი 10 წამად გაუხადეს, ლუპოლს 50 წამი – 28 წამად. მიკიტენკომ გააგრძელა სიტყვა 15 წამიდან 25 წამამდე. ადგა ბუბნოვი და მთხოვა, სიტყვა შემემოკლებია, მერე კიდევ სტავსკიმ მთხოვა შემოკლება – ყველაფერი ეს ხდება, როცა ლოჟაში ზის სტალინი და მთელი პოლიტიბიურო და გული საგულედან ამოვარდნას აპირებს. კოლია ტიხონოვი მირჩევს, მოდი, ქართულად დაუმატე კიდევ შენი ლექსიო, მე კი ვგიჟდებოდი და სულმოუთქმელი დავინყე ლაპარაკი, ცივი ოფლი მასხამდა, სომნამბულასავით ვიყავი, მაგრამ საქართველომ და ახალმა მასალამ მიშველა და მისმენდენ კიდევ და მგონი, მოიწონეს კიდევ. ეხლა ვარ ამ მოსკოვში და გიგონებ შენ და შენთან წარდის გაგორებას.

გოლცევი და მისი იულია სულ შენ ნატვრაში არიან, პავლე ანტოკოლსკი და ზოია გკითხულობენ და გკითხულობენ, ფატი კიდევ თითქმის ყოველდღე ჩვენთან არის.

გუშინ ვიყავით ლეონოვთან სადილად, შემდეგ ნავედით გ. ნეიგაუზის კონცერტზე, დიდებული კონცერტი იყო. მერე იქედან ნეიგაუზთან სახლში, იყო ბორისი, ზინა, და კირა უბორისოდ. ხვალ, ხვალ ზევით მივდივართ პერედელკინოში. იქ არიან – ფედინი, პავლენკო, პილნიაკი და სხვები.

ერთი სიტყვით, მგონია, ცოტა ხასიათი გამიკეთდეს და გავერთო. მაგრამ ძალიან მინდა, მალე დავბრუნდე. ნამოსვლის წინ ვერ მოვასწარი შენთან საუბარი, მაგრამ შენ იცი, ალბად მიხვდები, რაც უნდა მეთხოვა, შენი ტაქტის იმედი მაქვს.

მომიკითხე სონია და ლიალია, მომიკითხე ჩვენი ხალხი – ლიდია და ზოზო, რაისა და არჩილი და ჩემი ამხანაგები.

ძვირფასო სერგუნია, აბა შენი იცი, ერთ კარგ წერილს თუ მოინერები, აქ უკვე დიდებულ ხასიათზე ვარ, თუ მანდ არ გამიფუჭეს გუნება, მაგრამ მგონი, ყველანი მოდიან აქ.

გაკოცებ ბევრს და ველი შენგან წერილს.

შენი ტიცვიანელო

[მოსკოვი, აგვისტო, 1934]

ვალერიან გაფრინდაშვილი – ალექსანდრე სიგუას

ამხ. საშა! გთხოვ, შეინუხო თავი და ხვალ მომიტანო სასახლეში მალე. ტოროშელიძის მოხსენება რუსულ ენაზე. შალვა რადიანმაც დამართო ნება, რომ მივიღო თქვენგან ეს წიგნი. თუ მე არ ვიქნე, ნინა კლდიაშვილს დაუტოვეთ. ვიყავი სახელგამში ორჯერ და ვერ გნახეთ.

პატივისცემით ვალ. გაფრინდაშვილი

XI-2. 1934

[თბილისი]

ნიკოლო მინიშვილი – ლავრენტი ბერიასა და ლევან აღნიაშვილს*

თბილისი, 14/IX–34 წ.

პლენარის პროსპექტი 50, ტელ. 23-99.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს – ამხ. ლ. პ. ბერიას, ლ. ს. აღნიაშვილს

პატივცემულო ამხანაგებო!

მანამ, ვიდრე საბოლოოდ უარს ვიტყვოდე ყოველგვარ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე, რითაც ბოლო 14 წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავი დაკავებული, მინდა, გადმოგცეთ ეს დოკუმენტი და გაგაცნოთ მიზეზები, რომელთა გამოც იძულებული ვარ, მივიღო ჩემთვის ესოდენ რთული გადაწყვეტილება.

რა თქმა უნდა, შემეძლო არ დამენერა ეს წერილი ცკ-ს სახელზე და უბრალოდ განზე ვმდგარიყავი.

მაგრამ თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემთხვევითი ადამიანი არ ვარ და ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილოთ, როგორც ერთი ადამიანის პირადი საკითხი.

ამხ. მინიშვილი ხომ იმ რამდენიმე მწერალთა შორისაა, რომლებიც 1921 წელს, საბჭოთა მთავრობის მოსვლის პირველივე დღეებში გამოჩნდნენ. და როგორც უნდა აკნინებდნენ მის მოღვაწეობას, ფაქტია, რომ მან დიდი შრომა გასწია ხელოვნების იმ დანესებულებათა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებაში, რომლებსაც იმ დროს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი ქმნიდა.

მინიშვილი ერთადერთი მწერალი იყო და ალბათ, ერთადერთი ქართველი, რომელიც მენშევიკებისა და საფრანგეთის ოხრანკის ტერორის ქვეშ, ორ წელიწადს თავგამოდებით იბრძოდა ემიგრაციის წინააღმდეგ, რითაც ყოველდღიურად სასწორზე დებდა საკუთარ სიცოცხლეს, და ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი მოდური მწერალი „ბოლშევიკთა ტყვეობის-

* დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 306.

გან“ თავის დაღწევაზე ფიქრობდა და პატრიოტი მეშჩანებისა და ფილისტერთა წინაშე აძაგებდა და ლანძლავდა მას.

საყოველთაოდაა ცნობილი მკვლევლობების, ცემისა და დაპატიმრებათა, ციხეებისა და გადასახლებების ის ატმოსფერო, რომელშიც მწერალ მინიშვილს ევროპაში უხდებოდა მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წინაშე არავითარი ვალდებულება არ გააჩნდა, საბჭოთა საქართველოს მტრებს ებრძოდა კალმითაც, სიტყვითაც და მოქმედებითაც.

ძნელია სამშობლოსა და ევროპაში ანტისაბჭოთა ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან მინიშვილის სახელის ამოშლა, რადგან ამას მოწმობს მრავალი დოკუმენტი, მათ შორის მის მიერ პარიზში დაფუძნებული გაზეთი და ორგანიზაციები, მისი წიგნები და პუბლიცისტური სტატიები.

საქართველოს საბჭოთა საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ მან საკუთარი შემოქმედების დაზარალების ფასად ბოლო ათ წელიწადს უდიდესი შრომა გასწია საქართველოს საგამომცემლო საქმეში, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიას კარგად ახსოვს იგი, როგორც ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი, რომელსაც არაფრით შეურცხვენია თავისი, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელი და რომელიც ყოველთვის ცდილობდა ჩვენი ლიტერატურული ძალების კონსოლიდაციას და პარტიასა და ხელისუფლებასთან მის დაახლოებას.

მწერალ მინიშვილის ლიტერატურულ გამოსვლებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში, ლიტერატურულ პრესასა და კრიტიკაზე დაყრდნობით, ძნელი არაა დარწმუნდე, რომ იგი ქართული საზოგადოების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილის საერთო განწყობილებას გამოხატავდა. მან ჩვენს ლიტერატურაში თავისებური ორიგინალური თემატიკა ჩამოაყალიბა და, როგორც მხატვრულ პროზაში, ასევე ლექსებსა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სტატიებში, წერილის ახალი ჟანრი შექმნა.

ცნობილია, რომ მწერალ მინიშვილს საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში ამ მდგომარეობისთვის არც თავისი წარმოსადგეი გარეგნობითა და რიხიანი ხმით და არც იმერეთის ტოლუმბაშის პირფერული და ფარისეველური ფანდებით არ მიუღწევია.

მას არასოდეს უწუნუნია და დაუჩივლია მთავრობის წარმომადგენლებთან, მის მელანს არასოდეს ასდიოდა ღვინის სურნელი, მისი სამუშაო მაგიდა შრომისა და ფიქრის თავშესაფარი იყო და არა დუქნის დახლი ძმაბიჭური გართობისა და მხიარულებისთვის, ისიც ლიტერატურის ხარჯზე.

მისთვის ყოველთვის უცხო იყო მლიქვნელობა და პირმოთნეობა, თვისებები, რომლებსაც ამ ბოლო დროს ზოგიერთი ავტორიტეტული პირი ესოდენ დიდად აფასებს.

იგი არასოდეს ლალატობდა თავის რწმენას და თანამოაზრეებთან არასოდეს ენეოდა სპეკულაციას ოჯახური პრობლემებითაც კი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის არცერთი მუხლის მიხედვით არ ყოფილა ნასამართლავი, არ გაუყალბებია არავის ხელმოწერა და თამასუქი. მასზე ვერავინ იტყვის, ანტისაბჭოთა შეთქმულების გამო იჯდა და შემდგომ ხელს ართმევდა იმ ადამიანების მამებსა და ძმებს, რომლებსაც საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის უღალატაო.

ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ეს სულმდაბლური თვისებანი ბოლო დროს ძალიან დაფასებული და კულტივირებულია იმ მწერალთა წრეებში, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის ბედს განაგებენ და ავიწყდებათ ის ღირსებები, რომლებიც ყველა დროს ამშვენებდა პოეტებსა და მოქალაქეებს და რომლებისთვისაც მწერალ მინიშვილს არასოდეს უღალატია.

მართალია, ზოგიერთათათვის იგი გარკვეულწილად მიუღებელი გახლდათ, რამდენადაც მიისწრაფოდა, ამაღლებულიყო ყოველგვარ სიმდაბლეზე – ლიტერატურულ წრეებში ჩამჯდარი ზოგიერთი უსაქმურისა და ჭორიკანას ჭკუანაკულულობასა და გონებაჩლუნგობაზე, – ცდილობდა არასოდეს ემოქმედა ვინმეს კარნახით, არასოდეს გაეველო სხვის ჭკუაზე ან ესაუბრა სხვისი სიტყვებით და ა. შ. ცდილობდა დაეცვა საკუთარი ღირსება და ხშირად დელიკატურად, მაგრამ მაინც არქმევდა ყველაფერს საკადრის სახელს.

მას არ დაუნერია არცერთი სტრიქონი, არ გამოუთქვამს არცერთი ფრაზა, რომლის მიხედვითაც იფიქრებდი, მტერი ყოფილაო: იგი იყო, არის და დარჩება საბჭოთა ადამიანად, მიუხედავად ახალი დონ ბაზალიოებისა და ტარტიუფების

ქირქილისა, რომლებიც მოქმედებენ ძველი და არაორიგინალური ფორმულით: „ცილისწამება უკვალოდ არ ჩაივლის, რალაც მაინც დარჩება“.

პოეტ მინიშვილს, ასეთი მდაბიო საქმეების ფონზე, საკუთარი თავი ბევრად ღირსეულად მიაჩნია და კმაყოფილდება თავისი საფლავის წარმოსახვით, თუ როგორ პატივს მიაგებენ მას მომავალი თაობები.

ეს არც ლირიკაა და არც ფრაზა, არამედ ცხოვრებაა ადამიანისა, რომელიც შეგუებულია იმას, რომ მხარს დაუჭერენ, მაგრამ არ განადიდებენ.

არასოდეს ვიღვწოდი მეტისკენ, მაგრამ ის „სარგებელი“, რასაც ამ ბოლო დროს მთავაზობენ, რასკოლნიკოვის სიტყვებს თუ გავიმეორებ, იძულებული ვარ, „მოკრძალებით დავუბრუნო“ მათვე, ქვემორე სწორედ მათზე მექნება საუბარი.

1932 წელს ცკ-მ დამანინაურა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ დამნიშნა. თვალეში არავის ვეჩხირებოდი და არც ჩემი სამუშაოს სფერო გაუკიცხავს ვინმეს, ყოველ შემთხვევაში, მე არ მსმენია.

ბოლო დროს მწერალთა კავშირში სამმა რეორგანიზაციამ გადაიარა ჩემ თავზე. როგორც ჩანს, თავმჯდომარისთვის არასასურველი ვიყავი, რადგან პირფერობა და ლაქუცი არ შემეძლო.

პირველი რეორგანიზაციისას მოადგილის ნაცვლად, მდივნად გამიშვეს. არაფერი შევიმჩნიე, მუშაობის ტემპი არ დამიგდია, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

კვლავ რეორგანიზაცია... ამხ. დემეტრაძის მოადგილედ მნიშნავენ... ამ ადამიანზე არაფერი მაქვს სათქმელი, რადგან, როგორც ფრანგები ამბობენ: „არაფრისგან არაფერი გამოდის“.

მე მაინც გავაგრძელებ და კიდევ უფრო ვაძლიერებ გულმოდგინე მუშაობას.

ამომშალეს სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატთა სიიდან, მაგრამ რადგანაც საზოგადოების წინაშე ადამიანის მიმართ ასეთი შეურაცხმყოფელი ქმედების გამართლება ძნელია, კვლავ ჩამსვეს.

მთელი ქალაქი ლაპარაკობს ჩვენი თავმჯდომარისადმი ამხ.

სტალინის დირექტივებთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ამ დირექტივების შესახებ ხმები ტრიალებდა მოსკოვშიც, ჩვენი თავმჯდომარის ზოგიერთი გულმოდგინე თანაშემწის მიერ. მაგრამ ეს კიდევ სხვა საქმეა.

ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენებისთვის თბილისში ინვევენ ლიტერატურის ასე თუ ისე მცოდნე ყოველ ადამიანს. ინყება რალაც ვიქტორინა. მონაწილეობაზე უსიტყვოდ მეუბნებიან უარს.

არაფერს ვიმჩნევ.

მაგრამ უკვე აღარ მესალმება შეფი. არც კი იხედება ჩემს მხარეს. რა თქმა უნდა, არც მე ვცდილობ მისი კუმტი მზერის მიპყრობას.

მოსკოვში მიემგზავრება ნარჩევი საზოგადოება – ჯავახიშვილი, იაშვილი, ჟღენტი, დემეტრადე (რომელიც ბოლოს, ოჯახური პირობების გამო, ვერ წავიდა).

მე კი, როგორც უბილეთო, მომისროლეს, არადა მოსკოვში სწორედ საჩემო საქმეა. საქმე, რომელიც მენატრება.

ბოლოს და ბოლოს, დელეგაციასთან ერთად მეც მივემგზავრები მოსკოვში. მაგრამ არავინ მიხსნის, რას წარმოვადგენ დელეგატებს შორის, ერთი სიტყვითაც არავინ არაფერს მარიგებს, ინსტრუქციას არ მაცნობს.

მოსკოვში თავმჯდომარემ არც კი მომისმინა, მის და ორგკომიტეტის მიერ დავინყებული როგორ ვიყავით დაყუდებულები კურსკის სადგურში ორ საათზე მეტხანს. არც ის იკითხა, როგორ ჩავედით, სად, როგორ მოვენყვეთ და ა.შ. თავმჯდომარეს ჯერ კიდევ თბილისში წარუდგინე წერილობითი მოხსენება იმის თაობაზე, თუ რა საქმეების გაკეთება მოგვინევდა მოსკოვში, რომელ კომისიებში გადანაწილდებოდა დელეგაცია, როგორ მოგვარდებოდა პრესის საკითხი მოსკოვში, თბილისში და სხვ. მაგრამ უშედეგოდ.

ამის შესახებ მოსკოვშიც ვთქვი, თუმცა არავითარი ყურადღება. ვხედავ, როგორ ნაწილდება დელეგაცია, ინყება ჭორაობა, ჩურჩული, დაბეზლება. მიდის საქმეების გარჩევა და იხლართება ინტრიგების, ტყუილებისა და ცილისწამებათა ქსელი. ამ ყველაფრისგან ჩამოშორებული ვარ. ერთადერთი, რაც დამრჩენია, ისაა, რომ ღირსეულად დავიჭირო თავი.

განზე ვდგევარ. ვიცდი, დამიძახებენ თუ არა, მაგრამ ამოდ-
ვიცი, რომ თავმჯდომარეს გაეხარდება ჩემი მარცხი და
მლიქვნელი მისი მათამებლები სწორედ ამას ცდილობენ, ბო-
როტად ხუმრობენ ჩემს ვიზიტებზე ცკ-ში, სკპ (ბ)-ში (ВКПБ)
კაგანოვიჩის, მიქოიანის შესახებ.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე ეს ყველაფერი სისულელეა,
მაგრამ „ცილისწამებისგან რალაც მაინც რჩება“.

ჩემით უკმაყოფილონი არიან, რადგან გამოსვლა პირადად
თავმჯდომარესთან არ შევატანხმე და ეს უკმაყოფილე-
ბაც უსაფუძვლო იყო: როცა თავმჯდომარე დ. დემეტრაძის
ნდობით აღჭურვილი პირი, მისივე დავალებით, პ. ქიქოძეს-
თან ერთად წინასწარ კითხულობდა ჩემს მოხსენებას, მასში
ამ დროს შევიტანე გარკვეული ცვლილებები.

უფრო მეტიც – ამით გულდანყვეტილმა, ეს მოხსენება წი-
ნასწარ გადავეცი სხდომის პრეზიდიუმს – ამხ. პავლენკოსა
და ტიხონოვის ხელმძღვანელობით, როცა მათ მიერ შესწო-
რებული მოხსენება დამიბრუნდა, მე ის ნავიკითხე სხდომა-
ზე, რომელსაც პავლენკო თავმჯდომარეობდა.

რაც უფრო ვიზღვევდი თავს შესაძლო მარცხისა და შეც-
დომებისგან, მით მეტი სიძლიერით „მუშაობდა“ ზოგიერთი
ამხანაგი, რომლებიც, ვფიქრობ, დელეგაციის ხელმძღვანელ
პირთა თანხმობითა და მითითებით მოქმედებდნენ.

ცნობილი სიტყვები მახსენდება: „მომეცით ადამიანის მიერ
დანერვილი ერთი სტრიქონი მაინც და მე მას სახრჩობელამ-
დე მივიყვან“.

ჩემი მოხსენება დაახლოებით ექვსას სტრიქონს შეიცავდა და
სულაც არაა საჭირო იყო ცნობილი, ნებისმიერი მთავრობის
დროსაა შესაძლებელი ადამიანის უკიდურეს ზომამდე მიყვანა.
ჩემი თავმჯდომარე ყოველმხრივ ცდილობდა ჩემს მოხსენე-
ბაში შეცდომების პოვნას.

მაგრამ ცენტრალური ორგანოების, როგორებიცაა „პრავ-
და“, „იზვესტია“, „ტას“ და სხვ. დადებითმა კომენტარებმა
სრულიად გადაფარა ამ გულღრძობთა დამოკიდებულება.

ამიტომ გაავრცელეს ვერსია, თითქოს რედაქციებში გავ-
ლენიანი პირები მყავს, რომ ვილაც მეხმარება და კიდევ
სხვა სისულელები.

არცერთ რედაქციაში ფეხი არ შემიდგამს, პრესის არცერთ თანამშრომელთან ამ თემაზე არ მისაუბრია, მაგრამ კარგად ვხედავდი, როგორ ამუშავებდნენ საქართველოს დელეგაციის ზოგიერთი, სკანდალურად „ჩავარდნილი“ ორატორის ჰაერივით ცარიელ მოხსენებებს, თუ როგორ გადაიქცეოდა სამწუხარო აპლოდისმენტები მეორე დღეს პრესის ფურცლებზე აღფრთოვანების „მქუხარე ოვაციებად“ და ა. შ.

ჩემ წინაშე ვითარდებოდა არასასიამოვნო სცენები, თუ როგორ ადგენდა ვიღაც „წმინდათა“ და „არაწმინდათა“ სიებს, როგორ პირფერობდა რიგი ავტორებისა და როგორ აძევებდნენ ჩანაწერებიდან ჩემს სახელს. ასევე გაიმართა ქართული პოეზიის საღამო, სადაც წაიკითხეს „ყველაფერი საუკეთესო ქართული პოეზიიდან“, თუმცა ეს ორი პოეტის შემოქმედებაა უფრო იყო.

ჩემმა უფროსმა ამხ. ჟღენტს დაავალა, სხდომაზე გავეთათხე ჩემი „შეცდომების“ გამო, რადგან ხედავდნენ, რომ სხვა ხელჩასაჭიდი აღარაფერი გააჩნდათ, რისი წყალობითაც ჩამძირავდნენ და თბილისში პოლიტიკურ დამნაშავედ ჩამომიყვანდნენ.

არ შევჩერდები ბევრ დეტალზე, მარტო იაშვილის არჩევნები რად ღირს. ამ სცენიდან აქამდე ყველასგან მივიწყებული სატირიკოსი ეშმაკი შედევრს შექმნიდა.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ, მწერლები დაკოდილი ცხვრების ფარა ვიყოთ და თავმჯდომარეს უფლება ჰქონდეს, თავისი სურვილის მიხედვით დაკლას, ვინც სურს და როცა სურს. ჩემი დაკვლაც შეიძლება, მაგრამ არა პეტელა და მით უმეტეს, დაკოდილი ცხვარივით.

ლიტერატურაში არც კოოპერატივიდან და არც ორმოცდათხუთმეტი წლისა მოვსულვარ. თითქმის ოცი წელია მას ვწირავ სულსა და ნერვებს. ლიტერატურა – ჩემი სიცოცხლეა და არა თანამდებობრივი საქმე.

თანამდებობას დავთმობ, მაგრამ სიცოცხლისთვის ვიბრძოლებ.

ლიტერატურა მემკვიდრეობა არ არის და, ვგონებ, ახლა ყველა თქვენგანის მოსაზრებას გამოვთქვამ. ამ კოლექტივის ადამიანების ხელმძღვანელი არ უნდა ამცირებდეს მათ, არ უნდა უწყობდეს ხელს მათ „ჩავარდნას“, არ უნდა უხა-

როდეს მათი შეცდომები, არამედ უნდა ეხმარებოდეს, ამ-
შვიდებდეს, ახარებდეს.

განონასწორებულ, მშვიდ და საკმაოდ თავმდაბალ ადამიანად მიმიჩნევენ და თქვენ, ჩემი წერილის კითხვისას, მიხვდებით, რატომაა იგი ასეთი ხისტი.

როგორ ვიყო მშვიდად, როცა გილიოტინასთან მიმათრევენ და სურთ, მომაჭრან არა თავი, არამედ სული და ოცნება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ხელმძღვანელობა, ან მისი მეუღლე ვერ მიტანს.

აი, ჩემი გამოსვლის სტენოგრამა. გთხოვთ, გაეცნოთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, მან სამჯერადი ცენზურა გაიარა. ის დადებითად შეფასდა ცენტრალურ გამომცემლობაში და მთელმა რიგმა ადამიანებმა აღიარეს როგორც ამიერკავკასიელთა შორის საუკეთესო გამოსვლა.

ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, რასაც ჩემზე საუბრობენ, მინდა ვთქვა: რადგან საქმე იქამდე მივიდა, რომ თქვენი განხილვის საგანი გავხდი, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, თავადვე მეთქვა, რომ ჩემი გასამართლება და დასჯა გსურთ. იქნებ აღმომაჩნდეს არგუმენტები და შევძლო ბრალის აცილება. ეს, ჩემი აზრით, არ გენყინებათ, პირიქით, ადამიანს უნდა დაეხმარო გაჭირვებიდან თავის დაღწევაში და არა – ჰკრა ხელი და ხევში გადააგდო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოარულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს მე ამხ. ბერიას წინაშე ამხ. იაშვილთან დაკავშირებით არალოიალურ როლს ვთამაშობდი, ის ფაქტიც აქარწყლებს, რომ ამხ. ბერიას ცხოვრებაში ორჯერ შევხვდი – ერთხელ 1927 წელს, მეორედ კი წელს, მაისში.

შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, მაგრამ ამხ. ბერიამ ხომ კარგად უწყის, რომ მასთან იაშვილის შესახებ არასოდეს მისაუბრია, მით უმეტეს იაშვილისა და ცკ-ს ახალი ხელმძღვანელობის „მტრობის“ საკითხზე. ეს ისეთივე სისულელეა, როგორც მითი კაგანოვიჩის შესახებ და ა.შ.

შეგახსენებთ, რომ ამ წლის დასაწყისში, ამხ. აღნიაშვილთან შეხვედრისას, როცა იგი, ქართველ მწერლებზე საუბრისას, ამხ. იაშვილსაც შეეხო, მე ნამდვილად გამოვთქვი საკუთარი აზრი და აი როგორი ფორმით: „ეს ნიჭიერი ადამიანი, პირად

გარემოებათა გაუარესების გამო, ჩამოშორდა ლიტერატურას და ყველაფერი უნდა ვილონოთ მის დასაბრუნებლად“.

ჩემი აზრით, პატიოსნად ვიქცეოდი, ამას რომ ვამბობდი, და შეუძლებელია, ამ სიტყვებში ვინმეს შეურაცხმყოფელი რამე იპოვო.

ასეთივე პატივისცემით ვსაუბრობდი სხვა მწერლებზეც, ვისზეც კი სიტყვა ჩამოვარდა.

უკვე ყველაფერი ვთქვი, ყოველივე ამან ჩემ თავზე გადაიარა და, ვგონებ, ცოტა არაა.

დავასრულებ იმით, რითიც დავიწყე:

ამ რთულ ვითარებაში სხვა არაფერი დამრჩენია, რომ განზე გავდგე.

რამდენადაც პარტიისა და საკუთარი შემოქმედების წინაშე თავს უდანაშაულოდ ვგრძნობ, მით უფრო მშვიდად ვარ.

თუ ჩემს სიმართლეში თქვენს დარწმუნებას შევძლებ, ეს აღარ ამაღელვებს, რადგან „ორჯერ არაფერი იწვის“.

ამხანაგური საღმით ნ. მინიშვილი

ეს წერილი სამ ეგზემპლარადაა დაბეჭდილი: ამხ. ბერიას-თვის, ამხ. აღნიაშვილისა და ჩემი არქივისთვის. იგი არავის ნაუკითხავს, პირადად მე დავბეჭდე. და რადგან მიმაჩნია, რომ ამხ. ტოროშელიძეს აცნობებენ ამ წერილის შესახებ – ზედმეტ ეგზემპლარს მას აღარ გავუგზავნი.

ნ. მ.

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

13-X-34.

Мой милый автор,

Когда-то Вы приучили меня к обилию Ваших писем и Вам это удалось легко. Теперь Вы, повидимому, задались целью отучить меня от них – и это уже гораздо труднее.

Говорят, Вы долго были в деревне (отдаленные доходят слухи), сейчас повидимому, в Тифлисе – давайте поговорим попржежнему. 20-V в Тифлис выезжает В. В. Гольцев, он Вам

доставит подробную информацию дел и планов. Планы у Гольцева на 35 год – грандиозны – Чавчавадзе, Клдиашвили, Казбек, Важа, Гурамишвили и даже – Саят-Нова.

„Грузинские рассказы“ сданы в ГИХЛ, сейчас находятся на редакции. Сборник, также, как и перевод, одобрены, за исключением трех рассказов: „Жизнь маленького человека“, „Великая суббота“ и „Созар“, которые, возможно, не подойдут тематически (слишком большая фиксация на „бывших людях“). Окончательно вопрос об их включении в сборник выяснится в ближайшее время.

Теперь косаюсь самих переводов. Я вышлю Вам экземпляры переводов (хотела-бы с Гольцевым), как только мне вернут из квалификационной комиссии при Союзе Писателей.

Работала с увлечением и думаю, новеллы угодили мне лучше „Пепла“. Очень важно теперь-же позаботиться их оформлением (кстати, сообщаю, что художник, оформлявший „Пепел“, снимается с работы. Нам то с Вами в этом мало утешения). Гольцев о книге очень печется и, верю, дело делает. Я с своей стороны здесь бью тревогу и Вы с своей стороны, конечно, себя не забываете. Кажется, оформление делает Абакелиа – как иллюстратора, я ее не знаю, но ее графическая скульптура очень талантлива.

Один вопрос: у меня сильное искушение перекрестить Ваш рассказ „Четки“, назвав его „Кинжалом“. Название Четки мне неясно. Ведь вещественный центр рассказа – кинжал, орудие чести и орудие производства горца. За ним встает от смерти и идет вдогонку за победителем Тамби Ратиани. Четки же здесь – лишь эпизодический предмет (их можно было-бы сделать вещественным центром рассказа совершенно другого – именно психологического или эстетического порядка). Словом, Ваш ответ.

Сейчас работаю над „ბობოხე“ Д. Шенгелая. Забираюсь в самые дебри языка, и в глубь, и в даль – и также, очень усердно, в Даля, волею неба и Соломона Иорданишвили, попавшего мне в руки. У Демны хороши эти гимны матери-земле – переводить, как пловец, качаясь на их ритмах – и чертовски трудны интонация плача и проклятий (беру Библию и читаю „Плач Иеремии“).

Из исторического музея ушла и сейчас оформляюсь, как переводчик в Группкоме ГИХЛ. Живу попрежнему в Гиреевском затишьи – сейчас очень, – запустили, тлен и сырость (а у Вас сейчас апогей винограда).

Милый Серго, а как Вы? Работа? Как идет издание „Пепла“ в Тифлисе? Ни думаете-ли Вы пустить в Заккниге и „Рассказы“?. Словом, жду и жду Ваших деловых и дружеских излияний.

Встречаюсь с ფატი – с ней заглядываем в музей, обсуждаем события и Вас поминаем лихом за „измену“.

У меня сильное искушение быть этой осенью в Тифлисе (Алик ждет!), да не знаю, как позволят средства.

Привет.

Ната

P. S. Пишите попрежнему на адрес музея.

P. S. К Вам просьба: укажите мне грузинское произведение (роман или повесть) из военной жизни – современного автора (преимущественно – империалистическая и гражданская война). Журнал „Знамя“ предложила мне дать им что-либо в этом направлении из грузинской литературы. К сожалению, тифлисские литорганизации очень мало озабочены тем, чтобы снабжать таких работников, как я, хотя-бы минимально текущей литературой и библиографией (а были обещания).

Жду!

Н.

[მოსკოვი]

ალი არსენიშვილი – შალვა რადიანს

17. X. 1934

პატივც. ამხ. შალვა

გიგზავნით ორ წერილს – პუშკინზე და ლერმონტოვზე. სათაურები არ მიმიცია. მგონია, როგორც წინასიტყვაობისათვის, ზედმეტიცაა. და თუ არა – იყოს თქვენი ნება, მონათლეთ.

დაგვიანებული კი არის, მგონია, მაგრამ ჩვეულებისამებრ მოუმზადებლად არ დავწერე და ამან დრო მოითხოვა.

რაც შეეხება... ჰონორარს: ვითხოვ უმაღლესს – განუელი შრომის და მიღწეულ ეფექტის მიხედვით. ამაზე პირადათ.

ამხ. სალამი, ალი არსენიშვილი

[თბილისი]

ნატა ჩხეიძე – სერგო კლდიაშვილს

21-X-34.

Милый Серго,

Неделю назад выслала Вам воздушное письмо, дошло-ли?

Сейчас едет Виктор Викторович Гольцев, с ним посылаю переводы рассказов. Прочтите, укажите недочеты. Свое заключение сообщите Гольцеву – мне важно, чтобы мой редактор знал мнение моего автора. Кстати, сколько листов примерно будет переведенный мною материал?

Я заключила договор на 5 листов. Не кажется-ли Вам, что здесь его больше? Я то ведь считать небольшой мастер. О количестве листов пришлите мне справку на русском языке (для издательства). Если рассказы нужны Вам к делу – перепечатайте, эти-же экземпляры, верните с оказией или заказной почтой.

Милый Серго, я видела Вас во сне умирающим и сегодня целый день хожу с ужасной тяжестью на сердце. Пожалуйста, успокойте меня и рассейте мою эту дурь – т. е. напишите как можно скорей.

У Павла Давид Месхи видела I-ую гл. „ვეფხის ტყაოსანი“, переведенную Сандро Канчели. Это здорово и лучшее из всего, что сделано из Ш. Руставели на русском языке.

Привет. Жду.

Ната

Москва, Красная пл. Исторический музей

ნუცა კლდიაშვილი – სერგო კლდიაშვილს

ტფილისი, ვარციხის ქ. 16, სერგო კლდიაშვილს.

23/X-34, სიმონეთი.

ჩემო სერგო!

ჭირიმე, გკოცნით სამივეს, კარგათ იყავით. სერგო, დედა ავით არის, სიცხე აქვს 37,5, სახეზე გასიებულია და თავი ტკივა, ფეხებიც ძალიან ტკივა. სახლის ამბავი დედამ ხომ მოგწერა და ელის შენგან ამბავს. მანამდი ჩხარში არ უნდა, რომ წაიღოს შენი გამოგზავნილი განცხადება. ვარა-ზაშვილთან გაიგე ამბავიო. ფული ერქარება და წყალტუპოს უნდა წავიდეს.

მოინერე დროზე ყველაფერი ამბავი. გკოცნით ყველას.

ნუცა

ნუცა კლდიაშვილი – სერგო კლდიაშვილს

2 ნოემბერი, ჩხარი.

სერგოს ჭირიმე!

